



კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სომხალინისტური ფემდემსიური საბჭოთა რესპუბლიკის
გუსათა და გლმხთა მთავრობისა.

1923 წლის
სექტემბრის 12.

№ 7.
განყოფილება პირველი

გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული საკანონმდებლო კომისიის მიერ.

შინაარსი:

- მუხ. 72. სახელმწიფო სარეწაივი გადასახადის დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ დანართები.
- „ 73. დებულება სახელმწიფო სარეწაივი გადასახადის შესახებ.
- „ 74. საუწყებთაშორისო სატარიფო თათბირის შესახებ ამიერკავკასიის რკინის გზათა მმართველობასთან.
- „ 75. პასუხისმგებელ მომუშავეთა სასყიდლის დადგენილებათა შეცვლის შესახებ.
- „ 76. აქციზის გადახდის შეღავათის შესახებ ბაქოს ბაზრობაზე აქციზ-დასადები საქონლის გადასატანად.
- „ 77. განაკვეთი ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებში საქონლის შემოტანისა და გატანისათვის.
- „ 78. დონისძიებათა შესახებ უცხოეთის საქონელზე დადებული სააქციზო გამოსაღების ხაზინაში შეტანის უზრუნველსაყოფელად.
- „ 79. დებულება საშეფო საქმის რესპუბლიკანური კომისიების შესახებ.
- „ 80. საცანცელაროთი გამოსაღების დაწესების შესახებ.
- „ 81. დებულება გადასახადებისა და გამოსაღების გადახდევინების შესახებ.
- „ 82. სააქციზო განაკვეთის გადიდების შესახებ შექარზე.
- „ 83. 25 ათას მანათიანი ამიერკავკასიის ფულის ნიშნის გამოშვების შესახებ.
- „ 84. შემოსატანად დროებით აკრძალული საქონლის სიის შესახებ.
- „ 85. ამიერკავკასიის შიშვილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრალური კომისიისათვის ფულატელური მასალის გადაცემის შეეახებ.
- „ 86. დროებითი გამოსაღების დაწესების შესახებ 1923 წლისათვის ამიერკავკასიის შიშვილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრალური კომისიისა და რესპუბლიკანური შიშვილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრალური კომისიების სასარგებლოდ.
- „ 87. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ.
- „ 88. დებულება პურისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა ვაჭრობის სახელმწიფო-სამეურნეო ორგანოს—„ამიერკავკასიის პური-პროდუქტი“-ს. შესახებ ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სასურსათო სახალხო კომისარიატთან.
- „ 89. ერთდროული აქციზისა და მისი კატეგორიების დაწესების შესახებ ამ დებულების სასამელო დაწესებულებათათვის, სადაც არ სწარმოებს ყურძნის დამამუშავებელ საწარმოებს.
- „ 90. სახელმწიფო ფონდების აღწესების შესახებ.
- „ 91. სავალიუტო ოპერაციების შესახებ.



- 92. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებში არსებულ სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა შორის აღძრული ქონებრივი დავის გადაწყვეტის წესის დებულების შეცვლისა და დამატების შესახებ.
- 93. საჯარო ანგარიშგებისათვის არავალდებულ საწარმოთაგან მათი ბრუნვისა და მოგების თაობაზე განცხადების შეტანის ვადების შესახებ დამატებითი სარეწავი გადასახადისათვის.
- 94. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ეკონომიური წარმომადგენლობის შესახებ მოსკოვში.
- 95. ვიზის შესახებ კონსტანტინეპოლიდან შემოტანილი საქონლისათვის.
- 96. საწარმოსა და მეურნეობის მფლობელთა ნათესაების შრომის შესახებ.
- 97. ვადების დაწესების შესახებ სახელმწიფო სარეწავი გადასახადისათვის.

დაპრავი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომისიისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საზღვრო სამართალი

1923 წლის აპრილის 5.

72. სახელმწიფო სარეწავი გადასახადის დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ დანართებით.

ამიერკავკასიის რესპუბლიკებში სარეწავი დაბეგვრის შესახებ ამ ქამად მომქმედი კანონებისა და წესების გასაუქმებლად — ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს დებულება სახელმწიფო სარეწავი გადასახადის შესახებ და შემდეგი მისი დანართი:

ა) განაწილება ძირითადი სარეწავი გადასახადის კატეგორიათა და საზოლო განაკვეთებისა სამრეწველო საწარმოთათვის;

ბ) განაწილება სავაჭრო საწარმოთა კატეგორიებისა;

გ) განაწილება ძირითადი სარეწავი გადასახადის საზოლო განაკვეთებისა სავაჭრო საწარმოთათვის, სავაჭრო საწარმოებთან არსებულ საწყობთათვის და პირადი სარეწავი მოსაქმეობისათვის;

დ) ნუსხა საქონელთა, რომლის ვაჭრობაც ნებადართულია პირველი კატეგორიის სარეწავი მოწმობით;

ე) ნუსხა საქონელთა, რომლის ვაჭრობაც აკრძალულია მეორე კატეგორიის სარეწავი მოწმობით;

ვ) წესი ფუფუნების საგანთა წარმოებისა და მათი ვაჭრობის სარეწავი გადასახადით დაბეგვრის შესახებ;

ზ) დროებითი წესები სახელმწიფო ტრესტებისა, სინდიკატებისა, საქციო და შერეულ საზოგადოებათა და აგრეთვე ყოველგვარი საკრედიტო დაწესებულებისა და კოოპერატიული შენაერთის დამატებითი სარეწავი გადასახადით (პროცენტული გამოსაღებით) დაბეგვრის შესახებ;

თ) განაკვეთი დამატებითი სარეწავი გადასახადისა.

2. ძირითადი სარეწავი გადასახადის აკრეფისათვის სახელმწიფო სარეწავი გადასახადის დებულების მიხედვით—დაწესებულ იქნეს პირველ საშენაწერო პერიოდად 1923 წლის ივნისი.

3. დებულება ესე სახელმწიფო სარეწავი გადასახადის შესახებ შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1923 წლის იანვრის 1-დან.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი

კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ამბარცუმიანი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი

კომიტეტის მდივანი **ბ. თალიბლი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წლის აპრილის 15 თარიღის 84 №-ში.

დებულება.

73. სახელმწიფო სარეწავი გადასახადის შესახებ.

1923 წლის აპრილის 5.

1. სახელმწიფო სარეწავი გადასახადით დაიბეგრება სავაჭრო და სამრეწველო საწარმო და დაწესებულება და აგრეთვე ცალ-კერძო ხელობა და მრეწველობა და პირადი სარეწავი მრსაქმეობა, რაც ცალკე დადგენილებით გამოიციხული არ იქნება ამ გადასახადიდან.

2. გადასახადი ესე გავრცელდება ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის მთელს ტერიტორიაზე.

3. სარეწავი გადასახადი შესდგება ძირითადი და დამატებითი (პროცენტული გამოსაღები) გადასახადისაგან.

შენიშვნა. საწარმოსათვის მიღებული სარეწავი მოწმობის ღირებულება ჩაითვლება დამატებითი გადასახადის გასტუმრებაში იმავე ნახევარ წლისათვის.

4. ძირითადი სარეწავი გადასახადი გადახდებიან უნდა იქნეს წინდაწინ სამეურნეო წლის ნახევრისათვის, ხოლო ამა თუ იმ სახის საწარმოსათვის შეიძლება დაწესებულ იქნეს.—ამა დებულების 14 მუხლში აღნიშნული წესით,—სამთვიანი და ერთთვიანი სარეწავი მოწმობა.

შენიშვნა 1. სამეურნეო წელიწადად ჩაითვლება პერიოდი ოქტომბრის 1-დან სექტემბრის 30-დღე და განიყოფება ორ ნახევარ წლად: პირველი ნახევარი წელიწადი არის ოქტომბრის 1-დან მარტის 31-დღე, ხოლო მეორე—აპრილის 1-დან სექტემბრის 30-დღე.

შენიშვნა 2. 1923 წლისათვის პირველი საშენაწერო პერიოდი ითვლება იანვრის 1-დან ივნისის 30-დღე.

5. იმ პირს, რომელიც სათანადო სარეწავ მოწმობას მიიღებს, უზრუნველყოფილი აქვს უფლება დაუბრკოლებლად ეწეოდეს ვაჭრობას ან მრეწველობას

იმ საწარმოში, რაზედაც მიღებულია სარეწავი მოწმობა, უკანასკნელის მოქმედების მთელი დროის განმავლობაში.

6. ძირითადი სარეწავი გადასახადის განაკვეთების განსაზღვრისათვის სავაჭრო და სამრეწველო საწარმონი განიყოფებიან კატეგორიებად, თანახმად აქვე დართული განაწილებისა (დანართი 1, 2, 4 დ 5).

შენიშვნა. ფუფუნების საგანთა წარმოება და მათი ვაჭრობა დაიბეგრება დამატებითი ძირითადი გადასახადით, თანახმად აქვე დართული წესებისა (დანართი 6).

7. სარეწავი გადასახადით დასაბეგრ ცალ-კერძო ხელობათა და სამრეწველო მოსაქმეობათა ნუსხის დაწესება და მათი კატეგორიებად განაწილება, ძირითადი სარეწავი გადასახადის განაკვეთების განსაზღვრისათვის, მოხდება ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ.

8. ძირითადი სარეწავი გადასახადის განაკვეთი კატეგორიებისა და ზოლების მიხედვით დაწესებულია აქვე დართული განაწილებით (დანართი 1 და 3), ხოლო ადგილების განაწილებას ზოლების მიხედვით მოახდენს ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატი.

9. დამატებითი სარეწავი გადასახადი (პროცენტული გამოსაღები) გარდახდება იმ შენაწერის რაოდენობით, რასაც თვითეული ნახევარი წლისათვის (4 მუხლის 1-ლი შენიშვნა) განსაზღვრავენ სავადასახადო კომისიები (მუხ. 11 დებულებისა და 2 დანართისა VII) მათ მიერ გამოანგარიშებული ტრიალის, — საწარმოს წინა ნახევარი წლის მოგების — მიხედვით, თანახმად იმ წესებისა, რაც დადგენილია ამა დებულების 14 მუხლის წესისამებრ.

10. საერთო გამგებლობა სარეწავი გადასახადის გადახდევინებისა ცალკე რესპუბლიკებში დაეკისრება ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულთ (ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალ თვითეულ რესპუბლიკაში).

11. უშუალო მეთვალყურეობა სარეწავი გადასახადის წესების აღსრულებისათვის და ამა გადასახადით დაბეგვრა დაეკისრება ფინანსთა ინსპექტორებს — სავადასახადო კომისიების შემწეობით (მუხ. 2 დებულებისა და მუხ 2 დანართისა VII) და ფინანსთა აგენტების დახმარებით. მეთვალყურეობა გადასახადის ნარჩენის გადახდევინებისათვის, ანგარიშწარმოება და ანგარიშგება სარეწავი გადასახადის საქმეში — დაეკისრება ფინანსთა ინსპექტორებს.

12. დამატებითი სარეწავი გადასახადის გამოანგარიშებისათვის თვითეულ სავადასახადო რაიონში, ფინანსთა ინსპექტორის თანმჯდომარეობით, მოეწეობა სავადასახადო კომისია, რომელშიაც შევლენ: ერთი წარმომადგენელი პროფესიონალური კავშირის საბჭოსი ან სამაზრო პროფესიონალური ბიუროსი, ერთი წარმომადგენელი აღმასრულებელი კომიტეტისა, ორი წევრი, რომელთაც დანიშნავს ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტი გადასახადის გადახდელთა რიცხვიდან, ფინანსთა ინსპექტორის მიერ წარდგენილი სიით, და ერთი წარმომადგენელი მუშათა და გლეხთა ინსპექციისა, სადაც კი ამ უკანასკნელის რწმუნებული ამყოფება.

შენიშვნა. სახელმწიფო ტრესტებისა, სინდიკატებისა, სააქციო და შერეული საზოგადოებათა, საკრედიტო დაწესებულებათა, კოოპერატიული ორგანიზაციათა და კომერციული ხასიათის სხვა შენაერთთა დამატებითი სარეწავი გადასახადით დაბეგვრის წესი განისაზღვრება განსაკუთრებული დროებითი წესებით (დანართი VII).

13. გადასახადის გადამხდელთა საჩივარი განიხილება ფინანსთა სახ. კომისარიატის რწმუნებულთან არსებულ განსაკუთრებულ საგადასახადო კომისიებში, რომელთაც თავმჯდომარეობენ ფინანსთა სახ. კომისარიატის რწმუნებულის მიერ დანიშნული პირები და რომლებშიაც შევლენ: საგადასახადო განყოფილების მმართველი, პირდაპირ გადასახადთა ქვეგანყოფილების გამგე ან მისი მოადგილე პირი, თითო წარმომადგენელი ეკონომიური თათბირისა, სახალხო სასამართლოსი, იუსტიციის სახალხო კომისარიატის დანიშნებით, მუშათა და გლეხთა ინსპექციისა და ორი წევრი გადასახადის გადამხდელთა რიცხვიდან, რომელთაც დანიშნავს ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებული ამ უკანასკნელის გადასახადთა განყოფილების წარდგენით.

14. დაწესება გამონაკლისისა გადასახადში ან შემცირებული დაბეგვრისა საწარმოთა ზოგიერთი კატეგორიისათვის შეუძლიან ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს.

15. წესებსა და ინსტრუქციებს სარეწავი გადასახადის გადახდევინებისათვის და მათში შესატან ცვლილებებს შეიმუშავენ ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატი.

დებულებისა, წესისა და ინსტრუქციების სამოქმედოდ შემოღების წესის და აგრეთვე ყველა ვადის დადგენა სახელმწიფო სარეწავი გადასახადის განხორციელებისათვის — დაეკისრება ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

16. მოქმედება აღნიშნული წესებისა და ინსტრუქციებისა, აგრეთვე წესი მათი შემოღებისა, ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ დადგენილი, გავრცელდება ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის მიუღს ტერიტორიაზე.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი

კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ამბარცუმიანი.**


ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი

კომიტეტის მდივანი **ბ. თალიბლი**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წლის აპრილის 15-ს თარიღის 84 №-ში.



დანართი 1, დებულების 6 და 5 მუხლისა.

განაწილება სარეზერვო გადასახადის კასტეგორიებისა და საჯარო განაკვეთებისა სამრეწველო საწარმოთათვის.

(სანახევარწლიო სარეზერვო მოწოდებების ფასი ამერიკაეკსისის ფულის ნიშნებით).

კატეგორია.	მუშათა რიცხვი.	%				
		1.	2.	3.	4.	5.
I არა უმეტეს.	3	2,100,000	1,800,000	1,400,000	1,000,000	700,000
II მეტი.	3— 6-დე	4,200,000	3,500,000	2,800,000	2,100,000	1,400,000
III "	6— 12-დე	6,300,000	5,250,000	4,100,000	3,160,000	2,100,000
IV "	12— 30-დე	12,000,000	10,500,000	8,400,000	6,300,000	4,200,000
V "	30— 60-დე	20,000,000	17,000,000	14,000,000	11,000,000	8,000,000
VI "	60— 100-დე	27,000,000	24,000,000	21,000,000	18,000,000	15,000,000
VII "	100— 150-დე	34,000,000	31,000,000	28,000,000	25,000,000	22,000,000
VIII "	150— 200-დე	40,000,000	37,000,000	34,000,000	31,000,000	28,000,000
IX "	200— 300-დე	58,000,000	55,000,000	52,000,000	49,000,000	46,000,000
X "	300— 500-დე	90,000,000	80,000,000	80,000,000	80,000,000	80,000,000
XI "	500— 1000-დე	150,000,000	180,000,000	180,000,000	180,000,000	180,000,000
XII "	1000	250,000,000	280,000,000	280,000,000	280,000,000	280,000,000

შენიშვნა 1. საწარმოები I—VIII კატეგორიებისა, — იმთ გარდა, რაც დასახელებულია შემდეგ შენიშვნაში, — უცხოეთ მათ აქვთ მექანიკური მამოძრავებელი, დაიბეჯელებიან ერთი კატეგორიით მაღლა იმაზე, რაც ეთანაბრება მუშათა რიცხვს.

შენიშვნა 2. ქვემოდასახელებული კატეგორიები დაიბეჯრება იმ კატეგორიაზე მაღლა, რაც ეთანაბრება მუშათა რიცხვს:
 ა) ერთი კატეგორიით: საიუველირო, სათბებისა, ოქრო-ფერკბლის ნაფილებისა, მხატვრული ბრინჯაოსი, ფიზიკური და საშუადიკონო ინსტრუმენტებისა, წვალსადენის მოწყობა-რემონტისა, გაზის და ელექტრონის განათებისა, კინოური პროდუქტების დამზადებისა და ხელოვნური მინერალური წვალისა და კვასის დაწესებულებებისა აგრეთვე ქეოქისა, სპილენძისა, კროვისა და წვლების სახელობის, რომელიც უმეშვეოდ შემგვითისათვის მუშაობს.

ბ) ორი კატეგორიით: ფოტოგრაფია, ფოტოკამერა, წისქვილი, ბრინჯაოსის საღერლი, ფეტვის საღერლი, ზეთის სახედილი, ზეტყის სახერბი ქარხანა, საფურის, სასეფლების სახედილი, ლუდი — თაფლისა და ძირის ქარხანა და საპნისა და პარფიუმერის ნაფილების ქარხანა.

ამერიკაეკსისის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ხ. ამბარცუმინი.**

ამერიკაეკსისის სოც. დედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორაბელაშვილი.**

ამერიკაეკსისის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ბ. თალიბიძი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წლის აპრილის 26-ს თარიღის 93 №-ში.

დანართი 2 დებულების 6 მუხლისა.

განაწილება სავაჭრო საწარმოთა კატეგორიებისა.

I კატეგორია.

1. ცალკე ნუსხაში (დანართი 4) ჩამოთვლილი საქონლის ვაჭრობა ბაზარში, სავაჭრო მოედანზე და სხვა ადგილას, რაც სწარმოებს ცალკეობად ხელზე, მიწაზე და ტაბაკზე, ჩანთით, კალბით, ყუთით, ჭურჭლით და საქონლის სხვა რამ ჩასაწყობით, რომელიც მთლად საქონლიანად გადაიტანება ერთი კაცის მიერ.

II კატეგორია.

1. ვაჭრობა ხელმარტო ან ოჯახის ერთი წევრის დახმარებით ყოველგვარი საქონლისა,—ცალკე ნუსხაში (დანართი 5) ჩამოთვლილის გარდა,—წარმოებულნი: ა) თვალსაჩინო სიდიდის მოძრავ საცავთა შემწეობით (დიდი ყუთი, მაგიდა, სახიდი ხონჩა, ტელეჟკა, ურმები და სხვ.) ბაზარში, სავაჭრო მოედანზე და სხვა ადგილას; ბ) პატარა მუდმივ სადგომებში, რომელსაც არა აქვს ოთახის მნიშვნელობა („კიოსკი“, „ბუდკა“, ფარდული, კარავი, კუთხე), სივრცით არ აღემატება ერთ ოთხკუთხ საეგნს და მოუხერხებელია, რომ მყიდველი შიგნით შევიდეს.

2. შესყიდვა (ფულად ან გაცვლით) მრეწველობის სახით, ხელახლა გასაცემად, სოფლის მეურნეობის ნაწარმოებისა და სხვა საქონლისა, არა ოც მილიონ მანეთისაზე მეტისა თვიურად და არა უმეტეს ერთი საწყობის დაჭერით მარტოდენ შესყიდული საქონლის შესანახად.

3. ნარდათ სამუშაოს აღება და ყიდვა მიტანით 200.000.000 მანეთისაზე არა უმეტესი.

4. საწარმო, ადგილობრივ საქმელ-სასმელის მიმცემი, რომელსაც უჭირავს არა უმეტეს ერთი „ბუდკისა“ ან კარვისა, ერთი „კიოსკისა“ და სხვა მცირე სადგომისა, უკეთუ აღნიშნული საწარმო, გარდა ჩაისა, ყავისა, რძისა და ცივი სასმელებისა, აძლევს მუშტარს მხოლოდ ცივ საქმელს და უკეთუ იქ მუშაობს არა უმეტეს სამი კაცისა საწარმოს მეპატრონის ჩათვლით, და აგრეთვე დროებითი ბუფეტის საღამოზე, სეირნობის დროს და სხვ., რომელიც ერთ დღეზე მეტს არ მოქმედობს.

5. მიცემა ცხელი საქმელებისა მოძრავი სადგომებიდან.

6. ბაგები მე-4 და მე-5 ზოლის ქალაქებში და აგრეთვე სოფლის ადგილებში.

7. აბანო, სადაც მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი სამ კაცს არ აღემატება და აგრეთვე საბანაო ადგილი.

8. კონტორა შეკვეთის მიღებისა,—საკუთარ სამრეწველო საწარმოში შენაკვეთის დამზადებისათვის,—რომელიც 1-ლი დანართის მიხედვით მე-3 კატეგორიაზე ზევით არ მოხვდება.

9. მიცემა ქირით ან დროებითი სარგებლობისათვის ყოველგვარი ნივთისა, მათ შორის სასწორისა საქონლის საწონად—საეაქრო ადგილას და ბაზარზე.

10. გადაზიდვის საწარმო. — გარდა საეტლო საწარმოსი. — რომელსაც ცხენით გადააქვს ტვირთი და გადაჰყავს მგზავრი, უკეთუ ცხენების რიცხვი ოთხს არ აღემატება და აგრეთვე განყოფილება და სააგენტო გადაზიდვის საწარმოსა, რომელიც მე-3 კატეგორიას მიეკუთვნება.

11. საგარჯიშო და ფარიკაობის დაწესებულება, მოედანი ლაუნტენისისა, ფუტბოლისა და საოლიმპო თამაშობისათვის, ტირი და სასრული ადგილი, დაწესებულება ქადრაქისა „შაშკისა“ და კეკელის სათამაშოდ და აგრეთვე ძალღონის საზომი დაწესებულება.

III კ ა ტ ე გ ო რ ი ა .

1. ცალობით ვაჭრობა ყოველგვარი საქონლისა დუქანში, მაღაზიაში და სხვა დახურულ სადგომში, ალაფხანაში, — ერთი-ორი დარაბით, — ან ეზოში და სხვა ღია ადგილას, უკეთუ ასეთ ვაჭრობაში მუშაობს არა უმეტეს ოთხი კაცისა მეპატრონის ჩათვლით.

2. სყიდვა ხელობის სახით, ხელახლა გასაყიდათ, სოფლის მეურნეობის ნაწარმოებისა და სხვა საქონლისა, ორი საწყობის დაქერით მხოლოდ ნაყიდი საქონლის შესანახად, ან ღირებული 20.000.000 მან. მეტად 80.000.000-დე თვიურად.

3. იჯარა და ნარდათ მუშაობა 200.000.000 მან. ზევით 600.000.000 მანეთამდე.

4. საწარმონი, რომელნიც ადგილობრივ იძლევიან საქმელსა და სასმელებს, — გარდა ღვინისა და ლუდისა, — და რომელნიც დასახელებულ არ არიან მე-II კატეგორიის მე-4 პუნქტში, უკეთუ ასეთ საწარმოში მუშაობს არა უმეტეს სამი კაცისა მეპატრონის ჩათვლით და აგრეთვე დროებითი ბუფეტი, რაც მოქმედობს ერთ დღეზე მეტ ხანს, ხოლო არა უმეტეს შვიდი დღისა.

5. მქონებლობა, ხელობის სახით, ბორანებისა და ნავეებით ტვირთზიდვის საქმისა და აგრეთვე გაქირავება ნავეებისა.

შენიშვნა. ცალკე ხელობად ამ პუნქტით ჩაითვლება რამდენიმე ბორანი და ნავი, რაც უქირავს ერთ მფლობელს ერთ ადგილას.

6. მოწყობილი ოთახები, სადაც საქმელი არ მზადდება და სადაც გასაქირავებელი ოთახების რაოდენობა ხუთმეტს არ აღემატება, სასტუმრო, სადაც ნომრების რიცხვი ექვსზე მეტი არ არის და ბაკი, რომელიც მე-2 კატეგორიას (პუნქტ. 6) არ მიეკუთვნება.

7. აბანო, სადაც მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი სამზე მეტია, ხოლო არა უმეტეს ათისა.

8. კონტორა შეკვეთის მიღებისა, რომელიც შეკვეთილს ამზადებს საკუთარ სამარწველო საწარმოში და რომელიც 1-ლი დანართის მიხედვით მე-3 კატეგორიას აღემატება.

9. აფთიაქი, სადაც მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი ხუთზე მეტი არ არის.

10. ცნობების მიმცემი, დასაფლავებისა და ტეხნიკური კონტორა ან ბიურო, რომლის მოსამსახურეთა რიცხვი არ აღემატება ხუთ კაცს მეპატრონის ჩათვლით.

11. გემებისა და გადაზიდვის სხვა საწარმო ტვირთისა მგზავრთა გადაზიდვისათვის მექანიკური მამოძრავებელის შემწეობით (გემი, ავტობუსი, ტვირთსაზრდი და სხვ.); და აგრეთვე ცხენებით, განსაკუთრებული გზების მოუწყობლად, უკეთუ მამოძრავებელთა საერთო ძალა არ აღემატება 150 ცხენის ძალას, ან ცხენების რიცხვი აღემატება ოთხს—ათამდე; აგრეთვე განყოფილება და სააგენტო იმგვარად საწარმოსა, რომელიც მიეკუთვნება მე-4 და მე-5 კატეგორიას.

შენიშვნა. ორთქლის ნავტურკლისათვის, რომელიც ემსახურება მარტოოდენ მისი მფლობელის სავაჭრო-სამრეწველო საწარმოს საჭიროებას ცალკე სარეწავი მოწმობის მიღება საჭირო არ არის, ხოლო ამ შემთხვევაში, საწარმოს დაქირსათვის მისაცემი სარეწავი მოწმობის კატეგორიის განსაზღვრისათვის,—მუშა-მოსამსახურენი ორთქლის ნავტურკლისა ჩათვლილ უნდა იქნენ იმ პირთა საერთო რიცხვში, რომელნიც მუშაობენ ამა თუ იმ სავაჭრო-სამრეწველო საწარმოში.

12. ცალობით გაყიდვა ღვინისა და ლუდისა საწარმოდან გატანით.

13. დაჭერა ყინულის სასრიალოსი, სასრიალო მთებისა, კარუსელისა და საქანელისა.

14. საკრედიტო დაწესებულება, რომლის ძირითადი კაპიტალი არ აღემატება ერთ მილიარდ მანათს.

IV კატეგორია.

1. ა) ნახევრად საბითუმო ვაჭრობა, ე. ი. გაყიდვა ყოველგვარი საქონლისა მარტოოდენ პარტიობით, უკეთუ თვითეული პარტიის ღირებულება 5.000.000 მან. ნაკლები არ არის და არ აღემატება 50.000.000 მან., როდესაც ამასთანავე ვაჭრობაში მომუშავე პირთა რიცხვი შეიღზე მეტი არ არის—მეპატრონის ჩათვლით. ბ) ცალობით ვაჭრობა დუქანში, მაღაზიაში და სხვა სადგომში, ან ალაფხანაში, რომელსაც აქვს ორზე მეტი დარაბა, ან რომელშიაც მუშაობს ოთხზე მეტი მოსამსახურე, ხოლო არა უმეტეს ათისა—მეპატრონის ჩათვლით.

2. სყიდვა, ხელობის სახით, ხელახლა გასაყიდათ, ყოველგვარი საქონლისა, საწყობების დაქირით 3-დან 5-დე მარტოოდენ შესყიდული საქონლის შესანახად ან ღირებული 80.000.000 მან. მეტად 200.000.000 მანათამდე თვიურად.

3. იჯარა და ნარდათ მუშაობა ღირებულებით 500.000.000 მან. მეტი—ორ მილიარდ მანათამდე.

4. საწარმო, ყოველგვარი საქმელისა და სასმელების ადგილობრივ მიმცემი, სადაც მოსამსახურეთა რიცხვი, მეპატრონის ჩათვლით, სამზე მეტია და ასეთივე საწარმო მუსიკით, ვარდა ისეთი საწარმოსი, რომელიც თავის მოსამსახურეთა რიცხვით მე-5 კატეგორიას მიეკუთვნება.

5. მოწყობილი ოთახები, სადაც საქმელი არ მზადდება და სადაც გასაქირავებელი ოთახების რიცხვი ხუთმეტზე მეტია, ხოლო 25-ს არ აღემატება,

ავრეთვე სასტუმრო, სადაც ნომრების რიცხვი ექვსზე მეტია, ხოლო 12-ს არ აღემატება.

6. აბანო, სადაც მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი ათზე მეტია.

7. აფთიაქი, სადაც მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი ხუთზე მეტია.

8. კინემატოგრაფი, სადაც ადგილების რაოდენობა ასს არ აღემატება ლოტოს თამაში და საბილიარდო, ავრეთვე ბილიარდი, რომელიც არის რესტორანში, ტრაქტირში, სასტუმროში და სხვ.

9. ცნობების მიმცემი, დასაფლავებისა და ტეხნიკური კონტორა ან ბიურო, სადაც მომუშავე პირთა რიცხვი, მეპატრონის ჩათვლით, ხუთზე მეტია, ხოლო შვიდს არ აღემატება.

10. გემებისა და გადაზიდვის სხვა საწარმო—ტვირთისა და მგზავრთა გადაზიდვისათვის მექანიკური მამოძრავებელის შემწეობით და ავრეთვე ცხენებით, განსაკუთრებული გზების მოუწყობლად, უკეთეს მამოძრავებელთა საერთო ძალა, აღემატება 150 ცხენის ძალას 500 ცხენის ძალამდე, ან ცხენების რიცხვი ათზე მეტია, ხოლო არა უმეტეს 25-სა.

11. სატრანსპორტო კონტორა, რომელსაც არა აქვს განყოფილება და ავრეთვე სააგენტო და განყოფილება იმ სატრანსპორტო და საკომისიონერო კანტორებისა, რომელიც მიეკუთვნება მე-წ გატეგორიას.

12. საწარმო—ავეჯის გადაზიდვისა და ჩალაგებისა, სადაც მოსამსახურეთა რიცხვი არ აღემატება ათს—მეპატრონის ჩათვლით.

13. გაყიდვა ღვინისა და ლუდისა, ადგილობრივ დაღვეით.

14. საბითუმო საწყობი ღვინისა, სპირტისა, კონიაკისა. და ავრეთვე მავარი სასმელების სარდაფი.

15. საკრედიტო დაწესებულება, ძირითადი კაპიტალით ერთ მილიარდ მანათზე ზევით—ორ მილიარდამდე.

16. გამომცემლობა ბეჭდვითი ნაწარმოებებისა.

V კატეგორია.

1. ა) ბითუმად ვაჭრობა, ე. ი. გაყიდვა ყოველგვარი საქონლისა დიდი პარტიობით, სადაც თვითიური პარტიის ღირებულება 50,000,000 მან. აღემატება. ბ) ნახევრად საბითუმო ვაჭრობა, სადაც მოსამსახურე პირთა რიცხვი შეიღვე მეტია—მეპატრონის ჩათვლით. გ) ცალობით ვაჭრობა მაღაზიაში, სადაც მოსამსახურეთა რიცხვი ათზე მეტია—მეპატრონის ჩათვლით.

2. სყიდვა ხელობის სახით, ხელახლა გასაყიდათ სახელმწიფოს შიგნით ან უცხოეთში, ყოველგვარი საქონლისა ხუთზე მეტი საწყობის დაქერით ან ორას მილიონ მანეთისაზე მეტისა თვიურად.

3. იჯარა და ნარდათ მუშაობა, ღირებული 2 მილიარდზე ზევით.

4. საწარმო, ადგილობრივ საქმელ-სასმელის მიმცემი, სადაც მომუშავე პირთა რიცხვი ათზე მეტია—მეპატრონის ჩათვლით.

5. მოწყობილი სასტუმრო ოთახები, სადაც საქმელი არ მზადდება და სადაც გასაქირავებელი ოთახების რიცხვი 25-ს აღემატება, ავრეთვე სასტუმრო, სადაც ნომრების რიცხვი 12-ზე მეტია.

6. კინემატოგრაფი ასზე მეტი ადგილით.

7. ცნობების მიმცემი, დასაფლავებისა და ტექნიკური კონტორა ან ბიურო, სადაც მომუშავე პირთა რიცხვი შეიღებუა—მეპატრონის ჩათვლით.

8. გემებისა და გადაზიდვის სხვა საწარმო—ტვირთისა და მგზავრთა გადაზიდვისათვის მექანიკური მამოძრავებელის შემწეობით და აგრეთვე ცხენებით, უკეთუ მამოძრავებელთა საერთო ძალა 500 ცხენის ძალას აღემატება, ან მოწყობილია განსაკუთრებული გზები, ან ცხენების რიცხვი 25-ზე მეტია.

9. სატრანსპორტო კონტორა, რომელსაც აქვს განყოფილება ან სააგენტო და აგრეთვე საკომისიონერო კანტორა და აუქციონის დარბაზი.

10. საწარმო—ავეჯის გადაზიდვისა და ჩალაგებისა, სადაც მომუშავეთა რიცხვი ათზე მეტია—მეპატრონის ჩათვლით.

11. საკრედიტო დაწესებულება, რომლის ძირითადი კაპიტალი ორ მილიარდ მანათს აღემატება.

- 12. ტოტალიზატორი.

შენიშვნა. 1. ის სავაჭრო საწარმო, რომელიც ამა განაწილებაში

გათვალისწინებული არ არის,—დაიბეგვრება მეორე კატეგორიის მიხედვით, უკეთუ მისი თვითური ტრიალი არ აღემატება 40 მილიონ მანათს და მესამე კატეგორიის მიხედვით დანარჩენ შემთხვევაში. 2. იმ საწარმოს, რომლისთვისაც 1, 3 და 4 პუნქტის მიხედვით მიღებულია სარეწავი მოწმობა პირველი კატეგორიისა ან მეორე კატეგორიისა,—არ მიეცემა ნება დაიჭიროს ცალკე სასაწყობო სადგომი. 3. სარეწავი გადასახადით იჯარისა და ნარდათ მუშაობის დაბეგვრის დროს—ხელშეკრულება იჯარისა ან ნარდათ მუშაობისა ჩაითვლება ცალკე საწარმოდ და მას უნდა ჰქონდეს ცალკე სარეწავი მოწმობა ხელშეკრულების თანხის მიხედვით (2—5 კატეგორიის მე-3 პუნქტი). 4. სყიდვა, რომელიც სწარმოებს სხვადასხვა ზოლის სხვადასხვა ადგილას—დაიბეგვრება უმაღლესი საზოლო ნიხრით, რაც დაწესებულია ამ ადგილებისათვის (2—5 კატეგორიის მე-2 პუნქტი).

5. ყველა ფულადი თანხა ამა განაწილებაში ნაჩვენებია ამიერკავკასიის ფულის ნიშნებით.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე ს. აშბარცუშიანი.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი ბ. თალიბლაძე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წლის აპრილის 17-ს თარიღის 85 №-ში.

დანართი მე-3 დებულების 5 მუხლისა.

განაწილება სარეწავი გადასახადის საჯარო განაკვეთისა.

(ფასები სანახევარწლო სარეწავი მოწოდებებისა ამიერკავკასიის ფულის ნიშნებით)

კატეგორია:	ზ	ო	ე	ბ	ი.	
	1.	2.	3.	4.	5.	
1. საეკონომიკური საწარმოებისათვის	I	3,600,000	2,700,000	1,800,000	1,360,000	900,000
	II	5,600,000	4,200,000	2,800,000	2,100,000	1,400,000
	III	18,000,000	13,500,000	9,000,000	6,800,000	4,500,000
	IV	56,000,000	4,000,000	28,000,000	21,000,000	14,000,000
	V	180,000,000	13,000,000	90,000,000	68,000,000	45,000,000
საეკონომიკური-სამრეწველი.						
2. სასაწყობო სადგომებისათვის საეკონომიკური და სამრეწველო საწარმოებთან.	III, I—VI	3,600,000	2,700,000	1,800,000	1,360,000	900,000
	IV, VII—IX	5,600,000	4,200,000	2,800,000	2,100,000	1,400,000
	V, X—XII	8,800,000	6,600,000	4,400,000	3,300,000	2,200,000
3. პირადი სარეწავი მოსაქმეობისათვის.	I	1,000,000	810,000	700,000	500,000	340,000
	II	1,500,000	1,200,000	1,000,000	760,000	500,000
	III	3,600,000	3,000,000	2,400,000	1,800,000	1,200,000
	IV	4,500,000	3,600,000	2,700,000	2,240,000	1,500,000
	V	15,000,000	11,000,000	10,000,000	7,500,000	5,000,000

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ს. ამბარცუშიაძე.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა სამქოს თავმჯდომარე მ. ორბელიანი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ბ. თალიბიძე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წლის აპრილის 25-ს თარიღის 92 №-ში,

დანართი მე-4 დებულების 6 მუხლისა.

**ნუსხა საქონლისა, რომლის ვაჭრობაც ნებადართულია პირველი
კატეგორიის სარეწავი მოწმობით.**

1923 წლის აპრილის 5.

1. სოფლის მეურნეობის ყოველგვარი ნაწარმოები, ცოცხალი შინაური ცხოველი, შეშა, ნახშირი, თიხა, კირი და ცარცი.
2. გამომცხვარი პური, მარილი, თევზი ადგილობრივი და სელდი, რძის პროდუქტები, ადგილობრივი ხილეულობა და ბოსტნეულობა, მწვანილი ნედლად ან სახმარებლად დამზადებული და ტკბილეული საქმელი.
3. წერილი შინამრეწველობის ნაკეთობა, გარდა ოქროსი, ვერცხლისა და ძვირფას თვლებიანი ნაკეთობისა.
4. ხელით ნაქსოვი, ბამბისა და ძაფის ნაკეთობა, ბამბის ცხვირსახოცები და თავსაკრავი.
5. წერილი იაფ-ფასიანი საგალანტერიო საქონელი და სხვადასხვაგვარი ხისა და კარტონის საბავშვო სათამაშო.
6. ნამგალი, ცელი, ნაჯახი, ნიჩაბი და სხვა სასოფლო-სამეურნეო ხელით სახმარებელი ინსტრუმენტი.
7. ფისი, კუპრი, ჯილობი, პრალი (мочало), ხის ქერქი, ჯაგარი, ბუმბული, ფრთა, საპონი (სატუალეტო საპნის გარდა), კეროსინი.
8. ყვავილები, მკენარეულობა და მგალობელი ფრინველი.
9. ასანთი, ცეცხლის მოსაკიდებელი (зажигалки) და მათი მოწყობილობა.
10. პაპიროსი და წეკო.
11. ვაქსი, გუტალინი, ფესხაცმელის ზონარი, შირის საქუსლე, ძირში ჩასაგები ტყავი.
12. გაზეთი და წიგნები.

შენიშვნა. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატს უფლება ეძლევა შეავსოს ეს ნუსხა იმ საქონელით, რაც მასში მოხსენებული არ არის, გამოაქვეყნებს რა ამას საყოველთაო ცნობისათვის.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი

კომიტეტის თავმჯდომარე **ს. აშბარცუმანი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო

კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი

კომიტეტის მდივანი **ბ. თალიბლი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წლის აპრილის 17-ს თარიღის 85 №-ში.



დანართი მე-5 დებულების 6 მუხლისა.

ნუსხა საქონლისა, რომლის ვაჭრობაც აკრძალულია მეორე კატეგორიის სარეწავი მოწმობით.

1. ძვირფასი ქვა, ოქროსა და პლატინის ნაკეთობა.
2. ნაკეთობა ვერცხლისა, ბრინჯაოსი, მელქიორისა და ბრიტანეთის მეტალისაგან, გარდა წვრილი იაფ-ფასიანი ნაკეთობისა, როგორც არის: პატარა ჯვარი, ბეჭედი, საყურე.
3. ანტიკვარული ნივთები.
4. სამოვარი, სპილენძის ქვაბი, ტაშტი და „კუბი“.
5. ოპტიური, ფოტოგრაფიული, ქირურგიული, ფიზიკური და სხვა ამგვარი ხელსაწყო და ელექტრონის მოწყობილობა.
6. მუსიკალური ინსტრუმენტი.
7. შირისა და გუტაპერჩის ნაკეთობა, გარდა ნახმარი კალოშებისა.
7. მოსართავი ყოველგვარი და სარაჯის ნაკეთობა.
9. შეგრენი, შეგრო, ლაიკა, სანდალოზით გაკეთებული და ნაკდევი ტყავი, მათი ნაკეთობა, ტყავის ჩექმები და წაღები, ნახმარის გარდა.
10. საღებავი საქონელი და სანიტარიისა და ჰიგიენის საგნები.
11. ბეწვიანი ტყავულობა, გარდა კურდღლისა, მგლისა, ირმისა, ცხენ-ირემისა, ზღვის ძაღლისა, თრიისა და შინაური ცხოველების ბეწვეულისა (კარაკულისა და ბატკნის ტყავის გამოკლებით) და ბუმბული სუსბურისა და გედისა.
12. შხა ტანსაცმელი და თეთრეული, ნახმარის გარდა.
13. ყოველგვარი ფართლეული და ქსოვილი და მათი ნაკეთობა, ნახმარის გარდა.
14. შხა ქუდები მამაკაცისა და ქალისა, ნახმარი ქუდების გარდა.

შენიშვნა. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატს უფლება ეძლევა შეავსოს ეს ნუსხა, გამოაქვეყნებს რა ამას საყოველთაო ცნობისათვის.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ამბარცუმიანი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ბ. თალიბლი,**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წლის აპრილის 17-ს თარიღის 85 №-ში

დანართი მე-6 დებულების 6 მუხლისა.

წესები ფუფუნების საგანთა წარმოებისა და ვაჭრობის სარეწავი გადასახადით დაბეგვრისა.

I ფუფუნების საგნად ჩაითვლება:

1. ვერცხლისა და მელქიორის ნაკეთობა, გარდა წვრილი შინამრეწველობის ნაკეთობისა.

2. ტყავის ნაკეთობა: ყუთი, ჩემოდანი, ნესესერი შესაბამელი ინგლისური უნაგირი და ცხენის მორთულობა ქალაქში სახმარებლად.

3. ხალიჩა, გარდა ჩულის და ქერელის (пенька) ხალიჩისა და აგრეთვე ადგილობრივი წარმოების ფარდავისა.

4. ფართლესი აბრეშუმისა, ხავერდისა და აგრეთვე უცხოეთის შალისა და სელისა და ყოველგვარი ახალი ნაკეთობა მათგან.

5. ფეხსაცმელი ზამშისა, ლაიკისა და სანდალოზ წასმული ტყავისა: ხელ-თათმანი ლაიკისა, ზამშისა, ცხენ-ირემას ტყავისა და ბეწვეულისა.

6. ქალის ქუდეები ფრთებით, აგრეტებით, ფრინველებით და ყვავილებით და ყოველგვარი უცხოეთის ქუდეები (მაშაკაცებისა და ქალებისა).

7. გასტრონომიული საქონელი, როგორც არის: შავი ხიზილალა, სემგა, უცხოეთის ყველი, პიკული, ლოქო, სარდინი, ომარი, პაშტეტი და სხვ.

8. ნაკეთობა ოქროსა, პლატინისა და ძვირფასი ქვებისაგან.

9. მხატვრული ნაკეთობა ფაიფურისა, ბროლისა, ქვისა, ბრინჯაოსი, სპი-ლოს ძვლისა და სხვ. და აგრეთვე ქანდაკება, სურათი, ხელით ნახატი, გრაფიურა და მხატვრული გამოცემა, ანტიკვარული ნივთები.

10. მაღალი ღირსების ავეჯი ჩუქურთმიანი, ან ტყავითა და აბრეშუმით გადაკრული და სხვ., სარკე ზომით 80 ოთხკუთხი ვერშოკზე მეტი.

11. სატარებელი ეტლები და ავტომობილები.

12. უცხოეთის ბაბთა, სალენაქე, ბლონდი, ბატისტზე ნაქარგი, და სხვა ძვირფასი ნივთები ტანსაცმელისათვის, აბრეშუმის ტრიკოტაჟი, თეთრეული ტილოსი და ბატისტისა.

13. ბეწვეული, გარდა მგლისა, კურდღლისა ირმისა, ზღვის ღორისა, ცხენ-ირემასი, თრიახი და შინაური ცხოველების ბეწვეულისა (კარაკულის და ბატკ-ნის ტყავის გამოკლებით), და მისი ნაკეთობა.

14. პარფიუმერია და კოსმეტიკა, გარდა სანიტარიის და ჰიგიენის საგნე-ბისა.

15. საკანდიტრო პროდუქტები: კეკი, ბისკვიტი და ტორტი, მაღალი ხა-რისხის ნამცხვარი, ღვეხელი და აგრეთვე შოკოლადი (გარდა მისი სუროგატე-ბისა) და კონფეტი: შოკოლადისა და ფრანგული წყობისა.

16. უცხოეთის სიგარა, თამბაქო და პაპიროსი, უცხოეთის ღვინო და ლი-კორი.

17. დეკორატიული მცენარეულობა: ორანჟერეისა და შემოტანილი.

II. ფინანსთა სახალხო კომისარიატს უფლება ეძლევა ამა წესების შეფარ-დებაში დააწესოს გამონაკლისი ადგილობრივი პირობების მიხედვით.

III. ამა წესების თანახმად დაიბეგვრება ფუფუნების საგანთა მწარმოებელი და გამყიდველი ყველა საწარმო და ხელობა, რომელიც გამორიცხული არ არის სარეწავი გადასახადით დასაბეგრ საწარმოთაგან.

IV. სამრეწველო საწარმო და ხელოსანი, რომელიც ფუფუნების საგნებს აკეთებს, გადაიხდის დამატებითი ძირითად გადასახადს 50%-ის რაოდენობით იმ თანხისა, რასაც შეიცავს ძირითადი გადასახადი და რაც დაედება საწარმოს ან ხელობას.

V. ფუფუნების საგანთა გამყიდველი სავაჭრო საწარმო და ყველა ყავახანა და რესტორანი, რომელიც სავაჭრო საწარმოთა განაწილებისამებრ მე-4 და მე-5 კატეგორიას მიეკუთვნება,—გადაიხდის დამატებითი გადასახადს მე-3 კატეგორიის სავაჭრო საწარმოთა სარეწავი მოწმობის ადგილობრივი (ძირითადი) ფასის პროცენტებად: 1, 2, და 3 კატეგორიის საწარმონი—100%, მე-4 კატეგორიისა—150% და მეხუთესი—250%.

VI. საწარმოს, რომელიც IV და V კარშია აღნიშნული, დამატებითი სარეწავი გადასახადი გადაიხდება ინსტრუქციაში გათვალისწინებული წესისამებრ.

VII. ამა წესების შეფარდების წესს შეიმუშავენს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი

კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ამბარცუმიანი**.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო

კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი**.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი

კომიტეტის მდივანი **ბ. თალიბლი**.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წლის აპრილის 22-ს თარიღის 90 №-ში.

დანართი მე-7 დებულების 12 მუხლის შენიშვნისა.

დროებითი წესები საჯარო ანგარიშგებისათვის ვალდებულ საწარმოთა დამატებითი სარეწავი გადასახადით (პროცენტული გამოსალდებით) დაბეგვისა.

მუხ. 1. სახელმწიფო ტრესტებისა, სინდიკატებისა, სააქციო და შერეულ საზოგადოებათა და აგრეთვე ყოველგვარი საკრედიტო დაწესებულებისა და კოოპერატიული შენაერთის საწარმო, რომელიც თავისი წესდების, ან ამ უკანსკნელის სამაგიერო წესების ძალით ვალდებულია გამოაქვეყნოს ხოლმე თავისი ოპერაციების ანგარიში ან წარადგინოს ხოლმე იგი დასამტკიცებლად კუთვნილებისამებრ,—გადაიხდის, გარდა ძირითადი სარეწავი გადასახადისა, პროცენტულ გამოსალდებს მოგებიდან შემდეგი რაოდენობით:

1) წმინდა მოგების მიმღები საწარმო:

1 პროც. ზევით	2 პროცენტამდე	3 პროც.
2 " "	3 "	4 " "
3 " "	4 "	5 " "
4 " "	5 "	6 " "
5 " "	6 "	7 " "
6 " "	7 "	8 " "
7 " "	8 "	9 " "
8 " "	9 "	10 " "
9 " "	10 "	11 " "

10 პროც. ზევით 11 პროცენტამდე	12 პროც.
11 " " 12 "	13 "
12 " " 13 "	14 "
13 " " 14 "	15 "
14 " " 15 "	16 "
15 " " 16 "	17 "
16 " " 17 "	18 "
17 " " 18 "	20 "
18 " " 19 "	22 "
19 " " 20 "	25 "

2) საწარმო, რომელიც მიიღებს წმინდა მოგებას 20% მეტს ძირითად კაპიტალზე, გადაიხდის 25%-- მიღებული მოგების მთელი თანხიდან და, ამას გარდა, კიდევ 15%-ს მოგების იმ თანხიდან, რაც აღემატება 20% აღნიშნულ კაპიტალზე.


შენიშვნა. ანგარიშვალდებული საწარმო, რომლის მოგებაც არ აღემატება ერთ პროცენტს ძირითად კაპიტალზე—არ გადაიხდის პროცენტულ გამოსაღებს მოგებიდან.

მუხ. 2. მოგებიდან პროცენტული გამოსაღების გამოანგარიშება ყველა საწარმო და დაწესებულებებისათვის, რაც ეკუთვნის 1 მუხლში აღნიშნულ საწარმოთ, დაეკისრება იმ რესპუბლიკის საგადასახადო განყოფილებას, რომლის ფარგლებშიც იმყოფება საწარმოს გამგეობა. ამისათვის ფინანსთა სახ. კომისარიატის რწმუნებულის საგადასახადო განყოფილებასთან მოეწყობა აღნიშნულ საწარმოთა დაბეგვრის კომიტეტი, რომელშიაც შევლენ: საგადასახადო განყოფილების მმართველი (თავმჯდომარე), გამგენი პირდაპირ გადასახადთა ქვეგანყოფილებისა და თითო წარმომადგენელი მუშათა და გლეხთა ინსპექციისა და პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსი, ორი წარმომადგენელი გადამხდელთაგან ფინანსთა სახ. კომისარიატის რწმუნებულის დანიშვნით და აგრეთვე ფინანსთა ინსპექტორი სათანადო საგადასახადო რაიონისა.

მუხ. 3. 1-ლ მუხლში აღნიშნულ საწარმოთა მოგების პროცენტული გამოსაღებით დაბეგვრება მხოლოდ წმინდა მოგება, რასაც ეს საწარმოები მიიღებენ ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებში წარმოებული ოპერაციებით. უკეთუ ამ საწარმოთა ანგარიში უცხოეთის ვალიუტით შესდგება,—წმინდა მოგება გამოანგარიშებულ უნდა იქნეს ამიერკავკასიის ფულის ნიშნებით დღის კურსის მიხედვით, როცა შედგენილ იქნება საბოლოო ბალანსი.

მუხ. 4. მოგების პროცენტული გამოსაღები გადახდილ უნდა იქნეს მიმდინარე ნახევარი წლისათვის იმ წმინდა მოგებიდან, რასაც საწარმო მიიღებს ყველა მის მიერ წარმოებული ოპერაციით და რაც გამოანგარიშებულ იქნება ამა წესების 7 მუხლის თანახმად.

მუხ. 5. უკეთუ ანგარიში შედგენილ იქნება ექვს თვეზე მეტი დროისათვის საწარმო ვალდებულია, არა უგვიანეს ერთი თვისა სანახევარწლო ვადის გასვლის შემდეგ საოპერაციო წლის დაწყების დღიდან, შეიტანოს ხაზინაში პრო-



ცენტული გამოსაღები მოგებისა იმ რაოდენობით, რაც მასზე მირიცხული იყო წინა სავადსახალო ნახევარი წლისათვის, ხოლო იმ პირობით, რომ საბოლოოდ ანგარიშის გასწორება, პროცენტული გამოსაღებიდან აღნიშნული ნახევარი წლისათვის, მოახდინოს სავადსახალო განყოფილების მიერ ანგარიშის განხილვის შემდეგ.

მუხ. 6. ახლად დაარსებული ანგარიშვალდებულებული საწარმონი, პირველი საოპერაციო პერიოდის ანგარიშის დამტკიცებამდე, დაიბეგვრება პროცენტული გამოსაღებით არა ანგარიშვალდებულ საწარმოთათვის დადგენილი წესისამებრ, იმ პირობით, რომ საბოლოო ანგარიში მთელი განვლილი ნახევარი წლისათვის მათზე მირიცხული პროცენტული გამოსაღებისა—გაასწორონ საწარმოთა ანგარიშების მიხედვით სავადსახალო განყოფილების მიერ მათი განხილვის შემდეგ.

მუხ. 7. წმინდა მოგებად, რომელსაც დაედება პროცენტული გამოსაღები მოგებიდან, ჩაითვლება განსხვავება,—გამოანგარიშებული საწარმოს მიერ განვლილი საოპერაციო პერიოდისათვის წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით,—საერთო შემოსავლის თანხასა და იმავე პერიოდისათვის გაწეულ ნამდვილ ხარჯებსა და ანარიცხს შორის; ამასთანავე აღნიშნულ ანარიცხი და ხარჯები შემდეგია:

1) საწარმოს მართვა-გამეგობისა, შენახვისა და ექსპლოატაციისათვის:

ა) ყოველგვარი გასამრჯელო (ჯამაგირი, პრემია, სამუშაო ხელფასი და სხვ.) მუშა-მოსამსახურეთათვის, რომლის რაოდენობაც, ამასთანავე, არ უნდა აღემატებოდეს 17 კატეგორიანი სატარიფო ქსელით პასუხისმგებელ მომუშავეთათვის დაწესებულ ერთი კაცის განაკვეთს;

ბ) საკომისიო, საკურტაჟო და სამაკლერო ხარჯები და აგრეთვე სამგზავრო, საკანცელარიო და სასამართლოს ხარჯები საწარმოში;

გ) იჯარით აღება და დამუშავება მიწის საექსპლოატაციო სანახებისა;

დ) დაქირავება და შენახვა ფაბრიკა-ქარხნებისა, სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებათა და სასაწყობო სადგომებისა, აგრეთვე სხვა შენობათა და ნაგებობებისა და ცოცხალი და უსულუო ინვენტარისა;

ე) შეძენა და გადაზიდვა სავაჭრო ბრუნვის საგნებისა, ან წარმოების მასალისა;

ვ) გათბობა, განათება, წყალით უზრუნველყოფა და სიწმინდის დაცვა;

ზ) დაფარვა საწარმოში აღნიშნული არა კეთილსაიმედო მოვალისათვის მიცემული თანხისაც და ნამდვილი ზარალისაც, რაც საწარმოს მოსვლია საოპერაციო პერიოდის განმავლობაში; ამასთანავე, გამოწაკლის არ შეადგენს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებში არსებულ უცხოეთის საზოგადოებისა და კომპანიის საწარმოთა და აგრეთვე კერძო საწარმოთა ზარალი იმ ოპერაციებით, რასაც ისინი მოახდენენ ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლების გარეშე;

თ) გასტუმრება პროცენტებისა საწარმოს ყოველგვარი ვალისათვის; ამასთანავე, პროცენტი არ უნდა აღემატებოდეს იმ რაოდენობას, რასაც ახდენენებს სახელმწიფო ბანკი;

ი) გასტუმრება სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღებისა, მოგების პროცენტული გამოსაღების გარდა;

2) საწარმოს წესიერად შენახვისათვის;

ა) დაზღვევა საწარმოს კუთვნილი ქონებისა;

ბ) საწარმოს კუთვნილი ქონების წესიერ მდგომარეობაში შენახვა და ნამდვილად მოხდენილი რემონტი ამ ქონებისა, თვინიერ ქონების ღირებულების გადიდებისა ბალანსში; ამასთანავე რემონტსა და ქონების წესიერად შენახვას არ მიეკუთვნება ხარჯები ქონების განახლებისათვის, — მისი ღირებულების გადიდებით, — ან საწარმოს გაფართოებისათვის;

გ) დაფარვა საწარმოს კუთვნილი ქონების პირვანდელი ღირებულებისა, უკანასკნელის საბოლოო გასტუმრებამდე შემდეგი რაოდენობით: ქვისა და მეტალის შენობისა და ნაგებობისათვის და მეტალის ნავჭურჭლისათვის, სამთო საწარმოში — მიწისათვის, რომლის წიაღიდანაც იღებენ მანდნეულობას, მალაროებისათვის, ჰორიზანტალური გვირაბისათვის (ШТОЛНЯ), ძირითადი შტრეკებისათვის და კვერშლაგებისათვის — არა უმეტეს ხუთი პროცენტისა, ხოლო ხის შენობისა და ნავჭურჭლისათვის, მანქანებისა და წარმოების სხვა იარაღებისათვის და საერთოდ ცოცხალი და უსულო ინვენტარისათვის — არა უმეტეს მათი ღირებულების ათი პროცენტისა.

3. მუშა-მოსამსახურეთა და აგრეთვე მათი ოჯახების წევრთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებისათვის, მაგალითად: ანარიცხი სხვა-და-სხვაგვარი კასების სასარგებლოდ, დაზღვევისათვის, პენსიისა და დახმარების მისაცემად და აგრეთვე საწარმოსთან დაკავშირებული სამკურნალო, განმანათლებელი და სხვა დაწესებულების მოწყობისა და შენახვისათვის.

მუხ. 8. პირველი თვის განმავლობაში გამგეობის ანგარიშის დამტკიცების შემდეგ, 1 მუხლში აღნიშნული საწარმონი ვალდებულ არიან წარადგინონ სათანადო სავადასახადო განყოფილებაში წინა პერიოდის ანგარიში, რომელსაც უნდა დაურთონ ასლი ოქმისა ანგარიშის დამტკიცების შესახებ და დაწვრილებითი სია მათდამი კუთვნილი საწარმოებისა, უკანასკნელთა ადგილმდებარეობის და თვითეული საწარმოსათვის მიღებული სარეწავი მოწმობის ღირებულების აღნიშვნით.

მუხ. 9. უცხო ენაზე შედგენილ ანგარიშს, ბალანსსა და ოქმს უნდა დაერთოს არსებული წესით შემოწმებული თარგმანი ერთ-ერთ ენაზე, რომელიც მიღებულია ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში, ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის სათანადო რწმუნებულის ჩვენებით.

მუხ. 10. მოგების პროცენტული გამოსაღები იმ დანამატით, რაც გაწერილი იქნება ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტების სასარგებლოდ, შეტანილ უნდა იქნეს ამიერკავკასიის ფინანსთა სახ. კომისარიატის იმ ადგილის სალაროში, სადაც იმყოფება საწარმოს მთავარი გამგეობა და ამავე დროს სათანადო სავადასახადო განყოფილებას უნდა წარედგინოს საწარმოს ანგარიში.

შენიშვნა. იმ შემთხვევაში, როდესაც ანგარიში შეეხება საწარმოს მოქმედებას ამიერკავკასიის რამდენიმე რესპუბლიკის ფარგლებში ერთად,



განაწილება პროცენტული გამოსაღების თანხებისა დანამატით ამიერკავკასიის (კალკე რესპუბლიკათა შორის—მოხდება პროცენტულად ძირითადი სარეწავი გადასახადის თანხებისა, რაც გადაუხდია საწარმოს ყველა თავისი სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებისათვის.

მუხ. 11. უკეთუ წარდგენილი ანგარიში არ იქნება სრული და ნათელი, ან მის გამო რაიმე ეჭვი აღიძვრის, ფინანსთა სხ. კომისარიატის რწმუნებულთა ან არსებულ სავადასახადო განყოფილებას შეუძლიან მოსთხოვოს გამგეობას ორი კვირის განმავლობაში წარმოადგინოს ახსნა-განმარტება. დამამტკიცებელი საბუთი ან სავაჭრო დეთრები, ან და მიანდოს ფინანსთა ინსპექტორს გამოარკვიოს ექვის აღძვრელი კითხვები დაეთრებისა და დოკუმენტების დათვლიერებით გამგეობის სადგომში ან მის საწარმოში.

მუხ. 12. ანგარიშში ნაჩვენები მოგების თანხის გამოანგარიშების შემოწმებისა და საჭირო შემთხვევაში სათანადოდ შესწორების შემდეგ, სავადასახადო განყოფილება განსაზღვრავს მოგების პროცენტულ გამოსაღებს, რაც მიერიცება საწარმოს. დამატებითი სარეწავი გადასახადის გამოანგარიშებასთან ერთად სავადასახადო განყოფილება მიათვლის ამ გადასახადს ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტების სასარგებლოდ დაწესებულ დანამატს.

მუხ. 13. უკეთუ წარდგენილი ანგარიშის შემოწმებისას სავადასახადო განყოფილება დაინახავს, რომ წინად შეტანილი თანხა პროცენტული გამოსაღებისა საკმარისი არ არის,—საწარმოს გარდაჰხდება სათანადო დამატებითი თანხა საურაფით ანგარიშის წარდგენის დღიდან. ამა მუხლში აღნიშნული მოთხოვნა პროცენტული გამოსაღების შევსებისა უნდა გადაეცეს საწარმოს არა უგვიანეს სამი თვისა სავადასახადო განყოფილებაში ანგარიშის ან დამატებითი ცნობების წარდგენის დღიდან.

მუხ. 14. საწარმოს, რომელიც დადგენილ ვადაზე არ წარმოადგენს სათანადო ანგარიშს ან უკანასკნელის დამატებად გამოთხოვილ ახსნა-განმარტებას და დაეთრებს, სავადასახადო განყოფილების დადგენილებით დაედება ჯარიმა არა უმეტეს ამა თუ იმ ადგილის მე-5 კატეგორიის სავაჭრო საწარმოთა სარეწავი მოწმობის ათჯერ გადიდებული ღირებულებისა; ამის მიუხედავად, უკეთუ ანგარიში წარდგენილი არ იქნება სამი თვის განმავლობაშიაც ვადის გასვლის შემდეგ, აღნიშნულ საწარმოს დაედება საპროცენტო გამოსაღები არა ანგარიშვალდებულ საწარმოთათვის დადგენილი წესისამებრ.

მუხ. 15. სავადასახადო განყოფილების დადგენილების გამო საჩივარი შეიძლება შეტანილ იქნეს განსაკუთრებულ სავადასახადო კომისიაში ორი კვირის განმავლობაში დღიდან აღნიშნული დადგენილების შესახებ ცნობის მიღებისა.

მუხ. 16. განსაკუთრებული კომისიის დადგენილების გამო, ერთი თვის განმავლობაში მომჩივანისათვის აღნიშნული დადგენილების გამოცხადების დღიდან, შეიძლება შეტანილ იქნეს საჩივარი ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატში,—განსაკუთრებული სავადასახადო კომისიის მეშვეობით,—რომელიც განიხილავს მას ზედამხედველობის წესით.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ამბარცუმიანი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისარიათა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ბ. თალიბლი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წ. აპრილის 19-ს თარიღის 87 №-ში.

დანართი მე-8 დებულების 9 მუხლისა.

**განაკვეთი დამატებითი სარეწავი გადასახადისა (პრო-
ცენტული გამოსაღებისა).**

მოგების რაოდენობა ნახევარ წელიწადში	გადასახადის განაკვეთი მოგების პროცენტებით.
1. 25,000,000-დე	3
2. 25,000,000-დან 50,000,000	7
3. 50,000,000-დან 100,000,000	10
4. 100,000,000-დან 300,000,000	15
5. 300,000,000-დან 500,000,000	20
6. 500,000,000-დან	25

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე ს. ამბარცუმიანი.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ.
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი თალიბლი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წ. აპრილის 21-ს თარიღის 89
№-ში.

**დაკრახი აგიარკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბ-
ლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.**

1923 წლის აპრილის 7.

**7. დებულება საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის შესახებ
ამიერკავკასიის რკინისგზათა მმართველობასთან.**

მუხ. 1. ამიერკავკასიის სოც. საბჭ. რესპუბლიკების საკავშირო საბჭოს
მიერ 1922 წლის დეკემბრის 27-ს საკავშირო საბჭოსთან არსებული სატარიფო
კომიტეტის გადაკეთების შესახებ მიღებული დადგენილების განსავეითარებლად,
მოეწყო ამიერკავკასიის რკინისგზათა მმართველობასთან საუწყებათაშორისო
სატარიფო თათბირი, ამიერკავკასიის რკინისგზათა ფარგლებში ტარიფების
(აღგილობრივი ტარიფი) შემუშავებისა და ხელმძღვანელობისათვის და აგრეთვე
იმ კითხვათა აღძვრისათვის, რომელიც შეეხება გადაზიდვის ტარიფიკაციას
პირდაპირი მიმოსვლისას.

მუხ. 2. სატარიფო თათბირის გამგებლობას ექვემდებარება: დაწესება ად-
გილობრივი, — ამიერკავკასიის რკინისგზათა მთელ ტერიტორიაზე, — ტარიფებისა
მგზავრების, ბარგის და ტვირთის გადაზიდვისათვის, შეცვლა, დამატება და გა-

უქმება ტარიფებისა და გადაზიდვასთან დაკავშირებული დამატებითი გადასახადებისა, ზედამხედველობა თავის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, აღძვრა კითხვისა და შუამდგომლობისა გზათა ქსელის განსახლებული საერთო ტარიფების (პირდაპირი მიმოსვლის ტარიფების) დაწესების შესახებ.

მუხ. 3. ადგილობრივი ტარიფი, მსგავსად რკინისგზის ქსელის საერთო ტარიფებისა, დაწესდება ძირითად განაკვეთად (შვიდობიანი დროის კაპიტებით) სათანადო გამრავლებით დადგენილ კოეფიციენტზე.

მუხ. 4. ადგილობრივი ტარიფით გაუთვალისწინებელ ყველა შემთხვევაში შეფარდებულ უნდა იქნეს გადაზიდვის სასყიდელი, დამატებითი გადასახადი და სხვა სატარიფო წესი, რაც ასეთი შემთხვევებისათვის გათვალისწინებულია რკინისგზათა საერთო ტარიფით

მუხ. 5. კითხვები თათბირის კომპეტენციის შესახებ შეიძლება აღძრულ იქნეს ცენტრალური, ამიერკავკასიის ფედერალური და რესპუბლიკანური მთავრობის დაწესებულებათა მიერ და აგრეთვე ყოველგვარ ყველა საფეხურის კოოპერატიული შენაერთისა, საწარმოსა და კერძო პირის მიერ.

მუხ. 6. ადგილობრივი ტარიფი შემოღებულ იქნება სამოქმედოდ მხოლოდ მის გამოქვეყნების შემდეგ ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ოფიციალურ ორგანოში; ამასთანავე, უკეთეს ესა თუ ის ტარიფი უფრო დაბალია იმ ტარიფზე, რომლის ნაცვლადაც იგი დაწესებულია, მისი სამოქმედოდ შემოღება მოხდება არა უადრეს 7 დღისა გამოქვეყნების შემდეგ; ხოლო, უკეთეს ესა თუ ის ტარიფი უფრო მაღალია იმ ტარიფზე, რომლის ნაცვლადაც იგი დაწესებულია, — მისი სამოქმედოდ შემოღება მოხდება არა უადრეს ორი კვირისა გამოქვეყნების შემდეგ. პუბლიკაციის ტექსტში აუცილებლად აღნიშნულ უნდა იქნეს სწორი ვადა, რომლიდანაც დაწესებული ტარიფი შემოიღება სამოქმედოდ. თვინიერ ამა პირობების დაცვისა ადგილობრივი ტარიფი არ ჩაითვლება საწინამდვილოდ და არ იქნება განხორციელებული. გაგზავნის რა მიღებულ ტარიფს გამოსაქვეყნებლად ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ოფიციალურ ორგანოში, თათბირის აღმინისტრაცია, იმავე დროს, გაუგზავნის ამ ტარიფს გზათა სახალხო კომისარიატს (ეკონომიურ განყოფილებაში) „სბორნიკ ტარიფოვ“-ში გამოსაქვეყნებლად. ამასთან ერთად წარდგენილ უნდა იქნეს იმავე კომისარიატში ტარიფის დასასაბუთებელი მასალა და სათანადო ქურნალები თათბირის სხდომებისა.

მუხ. 7 სატარიფო თათბირის შედგენილობაში გადამწყვეტი ხმის უფლებით შედიან შემდეგი წევრები: ამიერკავკასიის უმაღლესი ეკონომიური საბჭოსაგან—1, ამიერკავკასიის რკინისგზათა მმართველობისა და სამმართველოსაგან—4, ამიერკავკასიის ფინანსთა სახ. კომისარიატისაგან—1, ამიერკავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციისაგან—1, ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებისაგან—თითო წარმომადგენელი, ამიერკავკასიის შრომის ორგანოებისაგან—1 (მათი შეთანხმებით); სათათბირო ხმის უფლებით თათბირის შედგენილობაში შევა თითო წარმომადგენელი შავი ზღვა—აზოვის საზღვაო ტრანსპორტისაგან და ამიერკავკასიის პორტების განყოფილებათაგან.



ყველა წევრი უნდა დაამტკიცოს ამიერკავკასიის უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ.

შენიშვნა 1. თათბირის თვითეულ წევრს დაენიშნება მუდმივი მოადგილე.

შენიშვნა 2. სატარიფო თათბირის წევრს ეძლევა გასამრჯელო სხდომებში მონაწილეობისათვის და სარგებლობს უფასო მიმოსვლის უფლებას ამიერკავკასიის რკინისგზათა ფარგლებში სამსახურის წლიური ბილეთით.

მუხ. 8. თათბირის თავმჯდომარეს და მის მოადგილეს დანიშნავს უმაღლესი ეკონომიური საბჭო თათბირის წევრთაგან, გზათა სახ. კომისარიატის რწმუნებულის (ამიერკავკასიის რკინისგზათათვის) წარდგენით.

მუხ. 9. თათბირის დადგენილებით და თავმჯდომარის განკარგულებით თათბირის სხდომებზე შეიძლება მოწვეულ იქნეს, სათათბირო ხმის უფლებით, ისეთი პირი, რომლისგანაც,—განსახილველი საქმის ხასიათის მიხედვით,—მოსალოდნელი იქნება სასარგებლო ცნობების მიღება.

მუხ. 10. ყველა საკითხი, რაც სატარიფო თათბირის გამგებლობას ექვემდებარება, გადასწყდება თათბირის სხდომაზე, მაგრამ თათბირს,—მეორე ხარისხოვანი საკითხებისაგან განტვირთვის მიზნით,—უფლება ეძლევა დაადგინოს (იმ ფარგლებში, როგორც იგი საჭიროდ მიიჩნევს) ცალკე მცირე კერძო კითხვებისა და მათი ჯგუფების გადაწყვეტის საშუალება განსაკუთრებულ განმკარგულებელ სხდომებზე. სატარიფო თათბირს უფლება ეძლევა დაადგინოს განმკარგულებელ სხდომათა კითხვების გადაწყვეტისა და დამტკიცების წესი.

მუხ. 11. სატარიფო თათბირის სხდომა შემდგარად ჩაითვლება უკეთუ მას დაესწრება თათბირის წევრთა საერთო რიცხვის ნახევარი თავმჯდომარის მითვლით.

მუხ. 12 სატარიფო თათბირის სხდომაზე ყველა კითხვა გადასწყდება ხმის მარტივი უმრავლესობით.

მუხ. 13. სატარიფო თათბირის გადაწყვეტილებანი განხორციელდება თათბირის თავმჯდომარის განკარგულებით, თვინიერ სხვა უმაღლესი ორგანოს მიერ მათი წინასწარი დამტკიცებისა.

უკეთუ დაინტერესებული დაწესებულება ან პირი არ იზიარებს თათბირის ამა თუ იმ დადგენილებას, მას შეუძლიან წარადგინოს დასაბუთებული განცხადება (საჩივარი) ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში და გზათა სახალხო კომისარიატში. ასეთი განცხადება და საჩივარი ვერ შეაჩერებს განსაჩივრებული ტარიფის სამოქმედოდ შემოღებას ან თათბირის სხვა დავაგანცხადებული გადაწყვეტილების განხორციელებას.

მუხ. 14. თათბირის წევრს უფლება აქვს განაცხადოს პროტესტი მიღებულ დადგენილების გამო. პროტესტი განცხადებულ უნდა იქნეს თვით თათბირის სხდომაზე, რაც სათანადოთ უნდა აღინიშნოს ოქმში; ამასთანავე პროტესტი ესე შემდეგ დადასტურებულ უნდა იქნეს იმ უწყების მიერ, რომელსაც წევრი—პროტესტის განმცხადებელი წარმოადგენს სატარიფო თათბირში. წერილობითი, და-

საბუთებული (უწყების მიერ დამტკიცებული) პროტესტის დასამზადებლად და წარსადგენად თათბირის სათანადო წევრს ეძლევა 7 დღის ვადა, რომლის დასაწყისად ჩათვლება მეორე დღე იმ დღისა, როცა გამოტანილ იქნა სატარიფო თათბირის პროტესტგანცხადებული დადგენილება.

მუხ. 15. წინა მუხლში აღნიშნული პროტესტი წარიმართება ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მისამართით და გაიგზავნება სატარიფო თათბირის თავმჯდომარის მეშვეობით, რომელიც წარუდგენს მას უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს.

მუხ. 16. სატარიფო თათბირის წევრის მიერ პროტესტის განცხადება შეაჩერებს თათბირის სათანადო დადგენილების სისრულეში მოყვანას.

მუხ. 17. სატარიფო თათბირს უფლება აქვს სატარიფო საკითხებისათვის მოიწვიოს ხოლმე გაფართოებული თათბირი და ყრილობა ამიერკავკასიის ფედერაციის რეინსტრუქტორთა და წყლის ტრანსპორტის წარმომადგენლებისა და აგრეთვე ამიერკავკასიის მთავრობის დაწესებულებათა, მრეწველობისა, ვაჭრობისა და სოფლის მეურნეობის წარმომადგენლებისა. აღნიშნულ თათბირთა და ყრილობათა დებულებას და აგრეთვე მათ დადგენილებათ დამტკიცებს, დეკრეტის გამოცემის წესით, ცენტრალური საკავშირო ხელისუფლება და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო.

მუხ. 18. დანარჩენი კითხვებისათვის, რაც გათვალისწინებული არ არის ამა დებულებით და დაკავშირებულია ადგილობრივ ტარიფთან,—თათბირი ხელმძღვანელობს გზათა სახალხო კომისარიატისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ სატარიფო წესით მიცემულ დირექტივებს და გზათა სახალხო კომისარიატის ეკონომიური სამმართველოს საინსტრუქციო განმარტებას.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი**.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **მ. პოლის**.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **გ. ხარუხანოვი**.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წ. აპრილის 15-ს თარიღის 84 №-ში.

დადგენილება № 44. აშვირკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა.

1923 წლის აპრილის 11.

75. ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის მიერ პასუხისმგებელ მომუშავეთა სასყიდლის შესახებ გამოცემულ დადგენილებათა შეცვლისათვის.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის მიერ 1923 წლის აგვისტოს 29 თარიღითა და 1 ნომრით და 1923 წლის თებერვლის 16-ს თარიღითა და 34 ნომრით—პასუხისმგებელ პოლიტიკურ, პროფესიონალურ, საბჭოთა, კო-

ოპერატიულ და სამეურნეო მომუშავეთა სასყიდლის შესახებ გამოცემულ დადგენილებების შესაცვლელად—ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. ამიერკავკასიის შრომის სახ. კომისარიატის 1 ნომრის დადგენილების 1-ლი მუხლი შეიცვალოს შემდეგნაირად:

„უახლოესი სამი თვისათვის, ა.წ. აპრილის 1-დან, დაწესებულ იქნეს ამიერკავკასიის ფედერაციის პასუხისმგებელ, პოლიტიკურ, პროფესიონალურ, საბჭოთა, კოოპერატიულ და სამეურნეო მომუშავეთათვის სამუშაო ხელფასის მინიმუმი 100%„ ზოლის მიხედვით—10 საქონლის მანეთის რაოდენობისა საბიუჯეტო ინდექსით და მაქსიმუმი 50 მანეთის რაოდენობისა, 1-ლი კატეგორიის მე-17-სთან შეფარდებით ისე, როგორც 1:5“.

2. ამიერკავკასიის შრომის სახ. კომისარიატის 1 ნომრის დადგენილების მე-8 მუხლი შეიცვალოს შემდეგნაირად:

„საქონლის მანეთის გადატანა ამიერკავკასიის ფულის ნიშნებზე მოხდეს ყოველი თვის 10-სა და 15 რიცხვს შორის საშუალო კურსის მიხედვით, რასაც ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულნი ამიერკავკასიის რესპუბლიკებში გამოაქვეყნებენ ხოლმე ერთხელ მთელი თვისათვის. თვითეული რესპუბლიკისათვის ამ წესით გამოანგარიშებულ განაკვეთს პასუხისმგებელი მომუშავეებისა—გამოაქვეყნებს ხოლმე ფინანსთა სახ. კომისარიატის რწმუნებული ამიერკავკასიის ფულის ნიშნებით.

3. ამიერკავკასიის შრომის სახ. კომისარიატის რწმუნებულთ დაევალოს შეინუშაონ და გამოაქვეყნონ ინსტრუქცია პასუხისმგებელ მომუშავეთა 17 კატეგორიანი ქსელის სატარიფო კატეგორიების მიხედვით განაწილების შესახებ თვითეული რესპუბლიკის პირობების დაგვარად.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარი **ს. იაკუბოვი.**

მდივანი **მარტინოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წლის აპრილის 15-ს თარიღის 84 №-ში.

დადგენილება ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატისა.

1923 წლის აპრილის 13.

76. აქციზის გადახდის შეღავათის შესახებ ბაქოს ბაზრობაზე აქციზ-დასადები საქონლის გადასატანად.

ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატი ადგენს:

იმ დაწესებულთა და პირთ, რომელთაც თავის სახელზე აქვთ ქარხანა-ფაბრიკა ან საბითუმო საწყობი და ამზადებენ ან ვაჭრობენ აქციზდასადებ პროდუქტებს,—მიეცეთ შეღავათი აქციზის გადახდისათვის აქციზ-დასადები საგნების ბაქოს ბაზრობაზე გადატანის დროს, იმ პირობით, უკეთუ ისინი უზრუნველსა-

ყოფად წარმოადგენენ საქონელს ან სახელმწიფო ბანკის თავდებობას, რომ თავის დროზე გადაიხდიან აქციოს.

ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარის მოადგილე იზმაილოვ.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წლის აპრილის 13-ს თარიღის 85 №-ში.

დადგენილება ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა

1923 წლის აპრილის 15.

77. განაკვეთი საქონლისა ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებში შემოტანისა და გატანისათვის.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1923 წლის აპრილის 7-ს თარიღით საქონლის შემოტანისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებიდან უცხოეთში გატანის წესის შესახებ გამოცემული დეკრეტის განსამარტებლად საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი აცხადებს საყოველთაო ცნობად:

შემოტანისათვის.

სია სალიცენზიო საქონლისა, რაც შემოიტანება უცხოეთიდან ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებში ლიცენზიის საფუძველზე, ხოლო თვინიერ სალიცენზიო გამოსაღებისა.

1) ყოველი საქონელი უბაჟო—შემოზიდვის ტარიფით.

შენიშვნა. იმ შემთხვევაში, როდესაც ბაჟიანი საქონელი ამა თუ იმ მოსაზრებით განთავისუფლდება საბაჟო გამოსაღებისაგან, იგი იმავე დროს განთავისუფლდება სალიცენზიო გამოსაღებისაგანაც.

2) მელიკამენტი,

3) სამედიცინო ხელსაწყო და აპარატები,

4) ქირურგიული კაბინეტის მოწყობილობა,

5) სასოფლო-სამეურნეო მანქანები და იარაღები,

6) შაბიამანი,

7) გოგირდი,

8) აპარატები და მასალა სოფლის მეურნეობის მანებლებთან ბრძოლისათვის,

9) შინაური საქონელი და ცხენი.

შენიშვნა. ნომენკლატურას 2, 3 და 4 №-სათვის დააწესებს საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატი—ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებთან შეთანხმებით, ხოლო 5 და 8 №-სათვის—მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებთან შეთანხმებით

გატანისათვის.

1. სია დროებით მონოპოლიური საქონლისა ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის საზღვრებით სპარსეთში გატანისათვის:

- 1) შაქარი,
- 2) აბრეშუმის ქუის თესლი,
- 3) ნავთი და ნავთის პროდუქტები.

2. სია საქონლისა, რომლის გატანაც ნებადართულია ლიცენზიით, ხოლო მარტოოდენ სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულებათათვის.

- 1) პური ხორბლად ყოველნაირი, ბრინჯი, მუხუ-
ლო, ლობიო, ცერცვი და ოსპი, კარტოფილი,
ფქვილი და ბურღული ყოველგვარი მუხ. 1.
- 2) პარკი (მთელი) " 62.
- 3) აბრეშუმის ყაჭი " —
- 4) ძირტკბილა " 41.
- 5) ბზა ყოველგვარი სახით " 36.
- 6) თამბაქო ფოთლებად " 13.
- 7) სპილენძი შოთეხად " —
- 8) ზეთის მცენარეულობის თესლი: სელისა, კა-
ნადისა, მზეუჭვრიტასი, ყაყაჩოსი და სხვ. " 38.

3. სია იმ საქონლისა, რომელიც გაიტანება ამიერკავკასიიდან ევროპის საზღვრით ულიცენზიოდ (თავისუფალ და, თვინიერ წინასწარი ნებართვისა):

- 1) ბოსტნეული ყოველგვარი მუხ. 4 პუნ. 1.
- 2) სახამთრო და ნესვი " 4 პუნ. 2.
- 3) ხილეულობა და მარწყვეულობა ყოველგვარი " 5 პუნ. 1. მუხ. 8.
- 4) კაკალი ყოველგვარი (გარდა ნუშისა და ფსტი-
ისა) " 6.
- 5) ჩაი ყოველგვარი " 12.
- 6) თაფლი ყოველგვარი " 14.
- 7) სვია " 15.
- 8) სპირტი ყოველგვარი და არაყი " 16.
- 9) ღვინო ყურძნისა და ხილეულობისა " 17.
- 10) მოკლული ფრინველი ყოველგვარი " 19.
- 11) ყველი ყოველგვარი " 20.
- 12) კარაქი ძროხისა და ცხვრისა " 21.
- 13) კვერცი " 22.
- 14) თევზი ყოველნაირი ყოველგვარი სახით " 23, პუნ. 1.
- 15) ხიზილალა ჭიჭყინა-თევზის ჯიშისა " 23, პუნ. 2—6.
- 16) ცოცხალი ფრინველი ყოველგვარი " 25, პუნ. 8.
- 17) ფოსფორიტი, როგორც ფხენილი, ისე და-
უფხენელი; უნაკეთო ძვალი ყოველგვარი და
ძვლის ფქვილი, ძვლის ნახშირი და ძვლის ხაკა. " 26.

- 18) რქა ყოველგვარი, ჩლიქი, და სხვა ნაწილები, ცხოველთა პროდუქტები, რაც ცალკე არ არის დასახელებული " 29.
- 19) მინერალური წყალი, ნატურალური და ხელოვნური. " —
- 20) ხის ნახშირი " 45.
- 21) ხის ფისი. " 46.
- 22) კუპრი " 47.
- 23) ძველი დასტამალი და ფალასი ყოველგვარი. " 49.

შენიშვნა 1. მუხლები ნაჩვენებია თანახმად 1923 წლის ივლისის 15-ს დამტკიცებული საბაჟო ტარიფისა გასატანი საქონლის ვაჭრობის შესახებ.

შენიშვნა 2. სია საქონლისა, რომლის გატანაც სავესებით აკრძალულია—ნაჩვენებია გასატანი საქონლის ვაჭრობის საბაჟო ტარიფში.

დადგენილება ესე შემოღებულია სამოქმედოდ 1923 წლის აპრილის 11-დან. ამიერკავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარი ივანიანი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წლის აპრილის 19-ს თარიღის 87 №-ში.

დადგენილება.

78. ღონისძიებათა შესახებ უცხოეთის საქონელზე დადებული სააქციზო გამოსაღების ხაზინაში შეტანის უზრუნველსაყოფად.

1. საბაჟო დაწესებულებანი ვალდებულ არიან სააქციზო გადასახადის მიღებული მთელი თანხა შეიტანონ ხაზინაში, ან ფინანსთა სახალხო კომისარიატის სალაროში: ამასთანავე ის საბაჟო დაწესებულება, რომელიც ხაზინის ან ფინანსთა სახალხო კომისარიატის სალაროს სამყოფელ ადგილას არის, ვალდებულია შეტანა მოახდინოს ორჯერ მაინც კვირაში, ხოლო სხვა საბაჟო დაწესებულება—ერთხელ კვირაში.

2. ფინანსთა სახალხო კომისარიატს უფლება ეძლევა თვალყური ადევნოს საბაჟო დაწესებულებათა მიერ უცხოეთიდან შემოტანილ საქონელზე აქციზის დადებისა და გადახდევინების სისწორეს და აგრეთვე იმას, რომ ამ დაწესებულებებმა თავის დროზე შეიტანონ ხაზინაში აღნიშნული სააქციზო გადასახადი.

3. ფინანსთა სახალხო კომისარიატს უფლება ეძლევა—საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით—გამოსცეს ხოლმე წესები და ინსტრუქცია ამ დადგენილების შეფარდებისათვის.

ფინანსთა სახალხო კომისარის მოადგილე **ს. იშმაილოვი.**

ამიერკავკასიის საგარეო ვაჭრობის

სახალხო კომისარი **ივანიანი.**

ადმინისტრატიული სამართველოს უფროსი **ა. ვართანიანი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წლის აპრილის 19-ს თარიღის 87 №-ში.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა.

79. საშეფო საქმის რესპუბლიკანური კომისიების შესახებ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან და შეფთა ბიუროს შესახებ საქალაქო (სამაზრო) აღმასრულებელ კომიტეტებთან.

1923 წლის აპრილის 16.

კ ა რ ი 1.

მიზანი და დანიშნულება საშეფო საქმის რესპუბლიკანური კომისიებისა და საქალაქო (სამაზრო) შეფთა ბიუროებისა.

1. წითელი შეფობის ინსტიტუტის მოსაწესრიგებლად, ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე, სათანადო რესპუბლიკანურ აღმასრულებელ კომიტეტებთან (ახერბაიჯანში, სომხეთში და საქართველოში) მოეწყობა საშეფო საქმის რესპუბლიკანური კომისიები და საქალაქო (სამაზრო) აღმასრულებელ კომიტეტებთან—საქალაქო (სამაზრო) შეფთა ბიუროები.

2. საშეფო საქმის რესპუბლიკანური კომისიები და საქალაქო (სამაზრო) შეფთა ბიუროები მოქმედებენ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ 1923 წლის თებერვლის 6-ს თარიღით პროლეტარული მზრუნველობის—წითელი არმიისა და ფლოტის ნაწილებზე წითელი შეფობის შესახებ გამოცემული დებულებისა და ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული წითელი შეფობის საქმის საბჭოს განკარგულებათა და განმარტებათა საფუძველზე და თავის მიზნათა აქვთ მოწესრიგება და ნაყოფიერი განვითარება მუშათა და გლეხთა წითელი არმიისა და წითელი ფლოტის ნაწილთა ცენტრალურ (რესპუბლიკანურ) და ადგილობრივ პარტიულ, პროფესიონალურ, საბჭოთა და კოპერატიულ ორგანიზაციებზე და წითელი შეფობის დაწესებულებებზე მიწერის სისტემისა.

3. ამ მიზნით რესპუბლიკანური საშეფო საქმის კომისიები ანხორციელებენ წითელი შეფობის საქმის იდეურ და პრაქტიკულ ხელმძღვანელობას საქალაქო (სამაზრო) ბიუროების მეშვეობით, ხოლო სადაც ასეთი არ არის—თითონ უშუალოდ.

4. ზემოაღნიშნულის განსახორციელებლად საშეფო საქმის რესპუბლიკანური კომისიები და საქალაქო (სამაზრო) შეფთა ბიუროები:

ა) თვალყურს ადევნებენ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1923 წლის თებერვლის 6-ს დებულებით დაწესებული წითელი შეფობის ორგანიზაციული პრინციპების სისტემატიურად განხორციელებას.

ბ) გამოსცემენ ზემოხსენებული დებულების დასამატებლად და განსავითარებლად ყველა საჭირო ცირკულიარსა და ინსტრუქციას;

გ) თვალყურს ადევნებენ შეფობის მიერ მათი მოვალეობის აღსრულებას და საჭირო შემთხვევაში მიმართავენ აღძვრისა, საზოგადოებრივი გამხმეებისა და გაკიცხვის ღონისძიებას;

დ) დაამყარებენ შეფთა ერთდროული და სისტემატიური დახმარების სა-
ერთო, უაღრესად მიზანშეწონილ ფორმებს;

ე) განახორციელებენ გეგმაშეწონილ და შეძლების დავგარად თანასწორ
დახმარებას მის ძირითად ფორმებში (ფულადი საშუალებანი, ყაზარმების რე-
მონტი, ვათბობა, განათება, ტანსაცმელი და სხვ.)

ვ) შეათანხმებენ უფრო ღონიერი შეფობის მოქმედებას დახმარების საერ-
თო ღონისძიებათა ორგანიზაციით (მაგ.: დახმარება ვაზეთს და სხვ.);

ზ) დაამთავრებენ საბოლოოდ სამხედრო ნაწილთა მიწერას და მოსპობენ
მთელ რიგ ნაწილთათვის შეფების უყოლობას და აგრეთვე იმას, რომ მრავალ
პარტიულ, საკავშირო, სამეურნეო და კოოპერატიულ ორგანიზაციასა და დაწე-
სებულებას არა ჰყავს ნაწილი თავის შეფობის ქვეშ;

თ) მოსპობენ შეუწონლობას შეფისა და სამეურვეო ნაწილის შორის, რო-
დესაც შეძლებული შეფი აირჩევს თავის შეფობაში უმნიშვნელო სამხედრო ნა-
წილს და წინააღმდეგ;

ი) მოახდენენ სათანადო დაწესებულებათა აპარატის მეშვეობით იმ საწარ-
მოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა აღნუსხვას, რომელნიც არიან ან
შეუძლიანთ იყენენ შეფებად, გამოარკვევენ მათ ეკონომიურ შეძლებას შეფობის
მიზნით, მოახდენენ გადაჯგუფებას, დააწესებენ კატეგორიებს და სხვ.;

კ) გაარჩევენ კონფლიქტებს შეფთა და შეფობაში, მყოფ ნაწილთა შორის;

ლ) განიხილავენ და დაამტკიცებენ შუამდგომლობას შეფების გადაწარ-
მების შესახებ.

მ) განსაზღვრავენ და განახორციელებენ სხვა ღონისძიებათ, რაც მიმარ-
თულია საშეფო საქმის განვითარებისა და გაუმჯობესებისაკენ და არ ეწინააღმ-
დეგება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუ-
მის 1923 წლის თებერვლის 6-ს დებულებას და საშეფო საქმის საბჭოს განმარ-
ტებებსა და განკარგულებებს.

კ ა რ ი ი

უფლებანი რესპუბლიკანური საშეფო საქმის კომისიებისა და საქა- ლაქო (სამაზრო) შეფთა ბიუროებისა.

წ. შეფთა ბიუროების დადგენილებანი და განკარგულწანი სავალდებუ-
ლოა ყველა ორგანიზაციისა, საწარმოსა და დაწესებულებისათვის, რომელიც მო-
ქმედობს საშეფო საქმის სათანადო კომისიებისა და ხაქალაქო (სამაზრო) შეფთა
ბიუროების ტერიტორიაზე.

შენიშვნა 1. საჩივარი საშეფო საქმის რესპუბლიკანური კომისის და-
დგენილებისა და განკარგულების შესახებ წარედგინება ამიერკავკასიის
ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ საშეფო საქმის საბ-
ჭოს, რომლის გადაწყვეტილებაც საბოლოოდ ჩაითვლება.

შენიშვნა 2. საჩივარი საქალაქო (სამაზრო) შეფთა ბიუროების დად-
გენილებისა და განკარგულების შესახებ წარედგინება რესპუბლიკანურ
ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ საშეფო საქმის სათა-

ნადო რესპუბლიკანურ კომისიას, რომლის გადაწყვეტილებაც შეფთა ბიუროებისათვის საბოლოოდ ჩაითვლება.

6. საშეფო საქმის თვითეულ რესპუბლიკანურ კომისიას და თვითეულ შეფთა ბიუროს უფლება ეძლევა გამოაქვეყნოს თავისი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი და დადგენილებანი მთავრობის ორგანოებში.

კ ა რ ი III

საშეფო საქმის რესპუბლიკანური კომისიებისა და საქალაქო (სამაზრო) შეფთა ბიუროების შედგენილობა.

7. საშეფო საქმის რესპუბლიკანური კომისიებისა და საქალაქო (სამაზრო) შეფთა ბიუროების შედგენილობა განისაზღვრება სათანადო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო (სამაზრო) აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდენტისა სპეციალური დადგენილებით.

8. საშეფო საქმის თვითეულ რესპუბლიკანურ კომისიას და თვითეულ შეფთა ბიუროს უფლება ეძლევა კოოპტაციის უფლებით მოიწვიოს საჭირო პირები, რომელთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ბიუროს რიცხვობრივ შედგენილობას.

9. საშეფო საქმის თვითეული რესპუბლიკანური კომისია და თვითეული შეფთა ბიურო თავის სრულუფლებიან წევრთა რიცხვიდან აირჩევს პასუხისმგებელ მდივანს, რომელსაც დაეკისრება კომისიისა და ბიუროს დადგენილებათა აღსრულება და წარმოება საშეფო საქმის კომისიისა და შეფთა ბიუროს აღმინისტრაციული მუშაობისა.

კ ა რ ი IV.

საშეფო საქმის რესპუბლიკანური კომისიებისა და საქალაქო (სამაზრო) შეფთა ბიუროების მოქმედების წესი.

10. საშეფო საქმის რესპუბლიკანური კომისია მოაწყობს სხდომებს საჭიროების მიხედვით, ხოლო ერთხელ მაინც თვეში, საქალაქო (სამაზრო) ბიურო კი — ორჯერ მაინც თვეში.

11. საშეფო საქმის რესპუბლიკანურ კომისიას და საქალაქო, (სამაზრო) შეფთა ბიუროს თავისი აპარატი არა ჰყავს და გამოიყენებს სათანადო დაწესებულების აპარატს.

12. საშეფო საქმის რესპუბლიკანური კომისია და საქალაქო (სამაზრო) შეფთა ბიურო ყოველთვიურად წარუდგენენ თავიანთი მოქმედების ანგარიშს სათანადო ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტსა და ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტს და, გარდა ამისა საქალაქო (სამაზრო) ბიურო — რესპუბლიკანურ კომისიას, ხოლო რესპუბლიკანური კომისია — ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ საშეფო საქმის **საბჭოს**.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი

კომიტეტის თავმჯდომარე **ამბარცუმიანი**.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი

კომიტეტის მდივანი **თალიბლი**.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წ. აპრილის 20-ს თარიღის 88 №-ში.

დეკრუტი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის აპრილის 5.

80. საკანცელარიო გამოსაღების დაწესების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დაწესებულ იქნეს 1923 წლის აპრილის 1-დან განსაკუთრებული განოსაღები მთავრობისა და კომუნალურ დაწესებულებებში ასლებისა, ამონაწერებისა, მოწმობათა, ცნობებისა და სხვა ქალაქდების დამზადებისათვის იმ საქმეების გამო, რაც ექვემდებარება აღნიშნულ დაწესებულებათა გამგებლობას და იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი ქალაქდები გაიცემა არა კანონის სავალდებულო მოთხოვნის ძალით, არამედ დაინტერესებული პირის სურვილისა და თხოვნისა-მებრ.

2. აღნიშნული გამოსაღები გარდაჰხდება 75.000 მან. როდენობით ამიერკავკასიის ფულის ნიშნით თვითეული სრული და არა სრული გვერდისათვის და ჩაირიცხება:

ა) ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შემოსავლად—გაერთიანებული სახალხო კომისარიატებისაგან;

ბ) ცალკე რესპუბლიკათა შემოსავლად— არა გაერთიანებული სახალხო კომისარიატებისაგან და

გ) კომუნალურ დაწესებულებათა შემოსავლად—ამ უკანასკნელთაგან.

3. აღნიშნული გამოსაღების გადახდევინების წესს განსაზღვრავს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატი.

4. საკანონმდებლო და ადმინისტრატიული ორგანოების მიერ დღემდე გამოცემული ყველა დადგენილება საკანცელარიო გამოსაღების შესახებ გაუქმებულია.

5. დადგენილება ესე გავრცელდება ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის მთელს ტერიტორიაზე.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ამბარცუმიანი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ბ. თალიბლი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წლის აპრილის 21-ს თარიღის 89 №-ში.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა.

81. გადასახადებისა და გამოსაღების გადახდევინების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. გადახდევინება და საერთო მეთვალყურეობა, როგორც სახელმწიფო, ისე ადგილობრივი ყველა გადასახადისა და საგადასახადო გამოსაღების შემოსვლისათვის,—ეკუთვნის ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატს და მის ადგილობრივ ორგანოებს.

შენიშვნა: უშუალო გადახდევინება ზოგიერთი სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღებისა შეიძლება, ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის შეთანხმებით სათანადო სახ. კომისარიატებთან, გადაეცეს უწყებებს.

გადახდევინების ორგანოები.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნულ გადასახადთა და გამოსაღებთა გადახდევინების საქმის გამგებლობა თვითეული მაზრის ფარგლებში დაეკისრება ფინანსთა ინსპექტორებს, ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან არსებული საგადასახადო განყოფილების საერთო ხელმძღვანელობის ქვეშ.

3. გადამხდელთათვის გადასახადებისა და გამოსაღების გადახდევინება, ფინანსთა ინსპექტორების მეთვალყურეობითა და ხელმძღვანელობით, დაეკისრება ქალაქად—ფინანსთა აგენტებს და ქალაქის მილიციას, ხოლო მაზრის დასახლებულ ადგილებში—ფინანსთა აგენტებს და აღმასრულებელ კომიტეტებს (სათემო კომიტეტებს საქართველოში და უზნის კომიტეტებს აზერბაიჯანსა და სომხეთში).

4. თემის ან უზნის აღმასრულებელი კომიტეტები და ფინანსთა აგენტები გადასახადთა და გამოსაღებთა გადახდევინების საქმეში ხელმძღვანელობენ სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების განკარგულებათ და ფინანსთა ინსპექტორების განმარტებათ.

5. დაწვრილებითი წესები თემის ან უზნის აღმასრულებელი კომიტეტების მოქმედებისა გადასახადთა და გამოსაღებთა გადახდევინების საქმეში, უკიდურესი ნორმები თანხისა, რაც ნებადართულ იქნება დარჩეს აღმასრულებელი კომიტეტების სალაროში, ვადა და წესი მისი შეტანისა ფინანსთა სახ. კომისარიატის კასაში და აგრეთვე წესები აღმასრულებელი კომიტეტების ანგარიშის წარმოებისა, ანგარიშგებისა და რევიზიისა—დადგენილ იქნება საგადასახადო განყოფილების მიერ და წერედგინება დასამტკიცებლად ფინანსთა სახ. კომისარიატის რწმუნებულს.

გადახდევინების წესი და ღონისძიებანი.

6. გადახდის უკიდურესი ვადის გასვლის შემდეგ გაწერილი გადასახადი ან გამოსაღები, რომელიც შეტანილ არ იქნა ფინანსთა სახ. კომისარიატის ან ადგილობრივი ფინანსთა განყოფილების სალაროში, ან და არ გადაეცა გადასახა-

დის მიღებისათვის რწმუნებულ თანამდებობის პირს,—გადაირიცხება ნარჩენად, რაც გადახდილ უნდა იქნეს საურავის დამატებით. საურავის რაოდენობას მაზრებისათვის დააწესებს ფინანსთა სახ. კომისარიატის რწმუნებული ნარჩენის ძირითადი განაკვეთის 15%-დან 25%-დე თვითეულ 15 დღისათვის ფაქტიური გადახდის დღიდან.

7. ნარჩენი ფულადი გადასახადისა და გამოსაღებისა აკრეფილ უნდა იქნეს უდავო გადახდევინების წესით.

8. გადახდევინების იძულებითი ღონისძიებაა:

ა) მიქცევა გადახდევინებისა იმ თანხაზე, რაც ნარჩენის გადამხდელს ერგება მესამე პირისაგან, მათ შორის საბჭოთა დაწესებულებისაგან და აგრეთვე იმ თანხაზე, რაც საკრედიტო დაწესებულების მიმდინარე ანგარიშზეა.

ბ) აწერა და შეკრა ნარჩენის გადამხდელის მოძრავი ქონებისა, 11 მუხლში ჩამოთვლილ ქონების გარდა, და გაყიდვა აწერილი და შეკრული ქონებისა საჯარო ვაჭრობით (მუხ. 13), გაყიდვიდან მიღებული თანხის მიქცევით ნარჩენის დაფარვისათვის.

გ) მიქცევა გასაყიდათ ნარჩენის გადამხდელის კუთვნილი ნაგებობისა საჯარო ვაჭრობით.

9. გადახდევინების მიქცევა გადამხდელის ანაბარზე საკრედიტო დაწესებულებაში და აგრეთვე იმ თანხაზე, რაც გადამხდელს მესამე პირისაგან ერგება (მუხ. 8 პუნ. „ა“) თვითეულ ცალკე შემთხვევაში სწარმოებს სათანადო სასამართლოს დადგენილებით.

10. მე-8 მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტში ჩამოთვლილი ღონისძიებანი მოყვანილი უნდა იქნეს სისრულეში სათანადო ფინანსთა ინსპექტორის დადგენილებით.

11. აწერასა და გაყიდვას არ ექვემდებარება ნარჩენის გადამხდელის კუთვნილი შემდეგი ქონება:

1) აუცილებელი საზამთრო და საზაფხულო ტანსაცმელი, თვორეული, ფეხსაცმელი და სხვა აუცილებელი საოჯახო ნივთები.

2) სასურსათო პროდუქტები იმ რაოდენობით, რაც ოჯახის წევრთა რიცხვის მიხედვით საჭირო იქნება ექვსი თვის განმავლობაში.

3) სათბობი მასალა იმ რაოდენობით, რაც ექვსი თვის განმავლობაში საჭირო იქნება საკმელის მოსახარშად და სადგომის გასათბობად.

4) წარმოების იარაღი და ინსტრუმენტები, რაც საჭიროა ნარჩენის გადამხდელის პროფესიონალური მოსაქმეობისათვის, ხელობისათვის ან შინამრეწველობისათვის, უკეთეს ეს იარაღი და ინსტრუმენტი არის არსებობის საშუალება და არ წარმოადგენს შრომის ექსპლოატაციის საგანს.

5) მიწადმოქმედებისა და სარეწავი იარაღები, რაც აუცილებელია მეურნეობის არსებობისათვის, ძროხა, ულელი ხარი, ერთი ცხენი, ან ექვსი ცხვარი, ან მისი სამაგიერო სხვა ოთხფეხი საქონელი საკვების აუცილებელი რაოდენობით 6 თვისათვის.

6) თესლეულობა იმ რაოდენობით, რაც მომავალი თესვისათვის დასჭირდება ნარჩენის გადამხდელის მიერ შესამუშავებელ მიწას.



7) აუკრეფელი მოსავალი.

8) ნაგებობა, რაც შეადგენს თვით მეურნეობის აუცილებელ კუთვნილებას (სახლები, კარმიდამოს ნაგებობა, სარაია და სხვ.).

შენიშვნა. ამა მუხლის შეფარდების წესს, ამა მუხლის დაწვრილებითი აღნიშვნით და მასში ჩამოთვლილი სხვა და სხვა საქონლის იმ ნორმალური რაოდენობის დაწვრილებითი აღნიშვნით, რაც არ გაიყიდება ნარჩენის გასტუმრებისათვის, დაადგენს ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებული საგადასახადო განყოფილების წარდგენით.

12. აწერილი ქონება გაიყიდება გადახდევინების ორგანოს მიერ საჯარო ვაჭრობით ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატისაგან დამტკიცებული წესისამებრ.

13. თავის განრიდება გადახდევინების ორგანოებისათვის ცნობების გადაცემისაგან მე-8 მუხლის „ა“ პუნქტში აღნიშნულ თანხების შესახებ და აგრეთვე ცრუ ცნობების მიცემა დაისჯება სახალხო სასამართლოს მიერ ჯარიმით, რაც არ უნდა აღემატოს ნარჩენის რაოდენობას. თანამდებობის პირს, რომელიც თავის ოფიციალურ პასუხში თავს განირიდებს ცნობების შეტყობინებისაგან ან წინასწარი შეცნობით მისცემს ცრუ ცნობებს ნარჩენის გადახდელის ქონების შესახებ, დამოუკიდებლად პასუხისმგებლობისა სისხლის სამართლის წესით, მიერიცხება თანხა სახელმწიფოსადმი მიყენებული ზარალისათვის.

14. გაფლანგვა აწერილი ქონებისა, რაც შესაძლებელია ნარჩენის გადახდელს ან საგანგებოდ დანიშნულ პირს, დაისჯება სახალხო სასამართლოს მიერ, როგორც თანამდებობის პირისაგან ჩადენილი გაფლანგვა.

15. საჩივარი თანამდებობის პირთა არა მართლიერი მოქმედებისა ან განკარგულების შესახებ გადასახადთა და გამოსაღებთა გადახდევინების დროს, შეტანილ უნდა იქნეს სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტში, რომელსაც დაეკისრება უახლოეს ვადაში განიხილოს იგი არსებითად.

შენიშვნა. ფინანსთა ინსპექტორი წარდგენილ საჩივარს თავისი დასკვნით გაუგზავნის აღმასრულებელ კომიტეტს არ უგვიანეს 7 დღისა საჩივრის წარდგენის დღიდან.

16. დადგენილება ესე გავრცელდება არა პირდაპირ გადასახადთა გადახდევინებაზედაც.

17. წესი ამა დებულების შეფარდებისა განისაზღვრება ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებული ინსტრუქციით.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი

კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ამბარცუმიანი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო

კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი

კომიტეტის მდივანი **ბ. თალიბი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წლის აპრილის 21-ს თარიღის 89 №-ში.

დადგენილება № 38. აგიარკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის აპრილის 20.

82. სააქციზო განაკვეთის გადიდების შესახებ შაქარზე.

ამიერკავკასიის სოფ. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1923 წლის თებერვლის 10-ს თარიღითა და 7 ნომრით გამოცემული დადგენილების 44 მუხლის შესაკვლელად შემოღებულ იქნეს შემდეგი:

1. ქარხლის—კრისტალისებური და სახამებელის შაქარს, უცხოეთიდან შემოტანილს, დაედება აქციზი ხაზინის სასარგებლოდ შემდეგი რაოდენობით:

ა) ქარხლის—კრისტალისებური შაქარი: ფუნთილი—ერთი მილიონი და ასოცი ათასი მან. თვითეულ ფუთზე; რაფინადი და დაწნეხილი შაქარი—ერთი მილიონი ოთხასი ათასი მან. თვითეულ ფუთზე.

ბ) სახამებელის შაქარი სითხედ და გამაგრებული—(სახამებელის ბადაგი, "გლიუკოზა" და რაფინადი)—ოთხას ორმოცდა რვა ათასი მან. თვითეულ ფუთზე.

2. შაქრის მარაგი, რამდენიც უნდა იყოს, რომელიც ამა დადგენილების სამოქმედოთ შემოღების დღისათვის აღმოჩნდება სავაჭრო საწყობსა და დაწესებულებაში და აგრეთვე ნავთსადგურში, რკინისგზის სადგურში და საბაჟო საწყობში,—დაიბეგრება იმ განსხვავების რაოდენობით, რაც იქნება აქციზის ახლად დაწესებულ განაკვეთსა და წინანდელ განაკვეთს შორის. ასეთივე დამატებითი აქციზი დაედება იმ შაქარს, რაც, ამა დადგენილების სამოქმედოდ შემოღებამდე, გამოშვებული იქნება შენახვის ადგილიდან,—თანაბრად მისი სავაჭრო საწყობში და დაწესებულებაში გადასვლისა.

შენიშვნა. დამატებითი აქციზი არ დაედება რუსეთის შაქარს, უკეთეს მას თან ექნება დოკუმენტი, რაც დაამტკიცებს, რომ ამ შაქრისათვის გადახდილია აქციზი არა უმცირეს ამა დადგენილებით დაწესებული განაკვეთისა.

3. დადგენილება ესე შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ტელეგრაფით.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჭუხეინოვი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **მ. პოლისი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს მდივანი **გ. სარუხანოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წლის აპრილის 22 თარიღის
90 №-ში.

დადგენილება № 39 აშიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ. აპრილის 20.

83. 25 ათას მანათიანი ამიერკავკასიის ფულის ნიშნის გამოშვების შესახებ.

რადგანაც სავაჭრო სამრეწველო ტრიალისათვის საჭიროა ზოგიერთი წვრილი კუპონის ფულის ნიშანი, გამოშვებულ იქნეს სახმარებლად 25 ათას მანათიანი ამიერკავკასიის ფულის ნიშანი, იმ საფუძველზე, რაც დაწესებულია ამიერკავკასიის სოც. საბჭ. რესპუბლიკების საკავშირო საბჭოს 1923 წლის იანვრის 10-ს დეკრეტით—ერთიანი ამიერკავკასიის ფულის ნიშნის გამოშვების შესახებ.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო

კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფინანსთა

სახალხო კომისარის მოადგილე **ს. იზმაილოვი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო

კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **მ. პოლისი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წლის აპრილის 22-ს თარიღის 90 №-ში.

დადგენილება № 47 აშიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის საბარაო ვაჭრობის სახალხო კომისარისათვის.

1923 წლის აპრილის 21.

84. შემოსატანად დროებით აკრძალული საქონელის სიის შესახებ. ცხადდება:

ა. სია იმ საქონელისა, როგორც უცხოეთიდან შემოსატანა აშიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებში დროებით აკრძალულია.

1. მეტალის მრეწველობაში:

1) თუჯი შოთებად, გარდა ფერროსილიცისა, ფერროხრომისა, ფერროოვოლფრამისა, ფერრომოლიბდენისა და ფერრონიკელისა; 2) რკინა და ფოლადი სხმულადი, ზოდებად და დამზადებული, გარდა საინსტრუმენტო და სპეციალური ფოლადისა; 3) ჭანჭიკი (ბოლტი), ლურსმანი, ქანჩი (გაიკა) და მოქლონი; 4) ნავთული რკინის, გარდა სპეციალურისა ბაგირისათვის; 5) ორთქლმავალი ფართო და ვიწრო კვალისა; 6) ვაგონები რკინისა, ტრამვაისა, სამგზავრო და საზარგო; 7) ვაგონები სპეციალური ხასიათისა: საყინულე და სხვ.; 8) ვაგონი-ციხის

ტერნები; 9) სამარაგო ნაწილები 7, 8, 9 და 10 პუნქტში ჩამოთვლილი ორთქლ-მავლებისა და ვაგონებისა; 10) მუხრუქები (ტორმაზი) ვესტინჰაუსისა; 11) ინჟექტორები; 12) საზეთავი წნეხები ორთქლმავლისათვის; 13) რკინის ნავსურ-ქელი ორთქლისა და არა ორთქლისა და რკინის ბარები; 14) მიწასაღები (ზემ-ლინგრაბალკა) და მიწასაწოვი (ზემლესოსი); 15) ორთქლის ქვაბები და მანქანე-ბი; 16) ჯალამბრები (ლბედკი), სარკი (შპილი) და მილები; 17) საქეები, საჭის მოწყობილება და გემის ხრახნები (ვინტ); 18) ღუზა ყოველნაირი; 19) მამოძრა-ვებელი შიდა წვისა, გარდა საავტომობილო და საავიაციოსი; 20) ხიდის ფერმები.

II. ტყავეულობის მრეწველობაში.

1) ყოველგვარი გალანტერეა ტყავეულობისა.

III. ელექტრო-ტექნიკურ მრეწველობაში.

1) ელექტრონის მანქანები და ტრანსფორმატორები, წონით ფუთნახევარ-ზე მეტი, გარდა მცირევოლტიანი მანქანებისა მუდმივი დენით და დაძაგვრით 24 ვოლტამდე, გენერატორებისა და საელექტრონო ორთქლის ტურბინებისა ურედუქტოროთ; 2) რეოსტატები, კონტროლიორები და წინაღობანი. 3) დენ-მიმღები; 4) დენის მომჭრელი, დენის გადაწყვანი მკვეთი და გამყოფი (არა სა-ზეთო); 5) დამფარავი ფირფიტული და მილური მდნობელით და ჩანასმით; 6) საზეთო დენის გადაწყვანი ავტომატით და უამისოდ დასაძაგრავად 13.000 ვოლ-ტამდე; 7) კოქები დროსელისა; 8) ტრანსფორმატორები დენისა და დაძაგვრი-სა 30.000 ვოლტამდე დაძაგვრისათვის; 9) ბუნიკები ჯირგინისა; 10) ტელეფონ-ები ინდუქტორული და საბატარეო; 11) დენის გადაწყვანი სახაზო; 12) სანო-მერო; 13) კომუტატორები; 14) ხარები ინდუქტიური; 15) ინდუქტორები; 16) კოლოფები ჯირგინისა; 17) ტრანსფორმატორები და რელე-ტელეფონისა; 18) ტე-ლეფონის ზონარი, გარდა სამულტიპილო და ცენტრალური სადგურებისათვის; 19) ელემენტები მშრალი, სველი და ჩასასხმელი; 20) პაულსონები რადიოს გადასაცემად; 21) მავთულები და ჯირგინი უბრალო და სპილენძისა; 22) მავ-თულები და ჯირგინის საიზოლიაციო თუჯით და ბრინჯაოთი გაკეთებული; 23) ზონარი საიზოლიაციო და სპილენძისა; 24) აკუმულიატორები ტყვიისა; 25) იზო-ლიატორები, როლიკები, სოლინარი, ძაბრები და ელექტრონის სხვა ნაკეთობა ფაიფურისა და მინისაგან; 26) ნახშირის პოლიუსები, ნახშირი რკალური ფარ-ნებისათვის და პროექტორებისათვის და ნახშირის ელექტროდები, გარდა იმ ელექტროდებისა, რომლის ნაკეთობა 100 სანტიმ. აღემატება; 27) აპარატები რკინისგზის სიგნალიზაციისა; 28) ტელეგრაფის აპარატები მორზესი, იუზისა, უიდსტონისა, ბოდოსი და რელ-ტელეგრაფის ტრაპელიაციები.

IV. სამთო მრეწველობაში.

1) ქანსელი გადარჩეული და მისი ნაკეთობა; 2) მაგნეზიტი ნედლი, გა-მომწვარი, ქლორული (хлористый), კაუსტიური ყოველნაირი და მაგნეზიტის აკური; 3) ნავთი ნედლი, ნავთის პროდუქტები, გარდა პარაფინისა და ამერი-კული ვაზელინისა, იმ რაოდენობით, რაც საჭიროა სამრეწველო და სამედიცინო.

მიზნებისათვის; 4) საღმანდო; 5) ინფუზორული მიწა; 6) ფოსფორიტი ნედლი და ფხვნილი; 7) გლაუბერის მარილი; 8) ფასიანი ქვები, რომელიც ითვისებს განსაკუთრებულ გაკრიალებას; 9) მინდვრის ქარწბი; 10) მონაცეტის მადანი.

V. სასოფლო-სამეურნეო მრეწველობაში.

1) სპირტი ნედლი; 2) სპირტი-რეკტიფიკატი; 3) რახი; 4) დენატურატი; 5) ლუდი; 6) პორტერი; 7) ხელოვნური მინერალური და ხილეულობის წყალი; 8) სხვადასხვაგვარი ღვინო, გარდა სამკურნალოსი.

VI. ქიმიურ მრეწველობაში,

ა) ძირითად ქიმიურ მრეწველობაში. 1) სოდა კალციანი; 2) სოდა კაუსტიკური; 3) ქლორის კირი; 4) სულფატი; 5) შაბი ყოველგვარი.

ბ) სატყეო-ქიმიურ მრეწველობაში. საქმლის ძმარი-ესენცია.

გ) ასანთის მრეწველობაში. ასანთი.

დ) სანდალოზ-საღებავის მრეწველობაში. 1) მიწის საღებავები, ოხრა, მუშია, სურინჯი (сурик) და აგრეთვე მძიმე ქარწბი; 2) სპირტის სანდალოზი (სპირტში გამდნარი ფისი); 3) ზეთის სანდალოზი (ზეთში, ბენზინში და სხვა ნახშირწყალში გამდნარი ფისი).

ე) შირის მრეწველობაში. შირისა და ქანსელის ნაკეთობა ყოველგვარი, გარდა სამედიცინო საჭიროების საგანთა, რომელიც არ კეთდება სოციალისტური საბჭ. რესპუბლიკების კავშირის ტერიტორიაზე და აგრეთვე შირის ძაფისა საგალანტერო-საქსოვი მრეწველობის საჭიროებისათვის.

ვ) ასაფეთქებელი ნივთიერებანი. 1) თოფის წამალი; 2) დინამიტი; 3) ფისტონი და კაპსულები; 4) დეტონატორები.

VII. სილიკატის მრეწველობაში.

1) ფანჯრის მინა; 2) ფაიფური და ქაშანური; 3) კულები ელექტრონის ლამპებისათვის; 4) ცემენტი; 5) ცეცხლის-მძლე აგური.

შენიშვნა: ნებადართულ იქნეს ტექნიკური მინის გატანა და აგრეთვე ტექნიკური მინისაგან, ფაიფურისაგან და ქაშანურისაგან გაკეთებული სამედიცინო და ლაბორატორიის ნივთები.

VIII. ტყის მრეწველობაში.

1) ავეჯეულობა; 2) მზა პრობკა ყოველნაირი.

IX. საქსოვ მრეწველობაში.

1) კანაფი, გარდა სპარსულისა, ჯუთი ნედლი და აგრეთვე ჯუთის ნაჩეჩი; 2) ბამბის ქსოვილი, მსხვილი და გათეთრებული, შეღებილი, დაჩითული, მრავალფერადი, ხაოიანი, კრეპისა, ბროზე, გარდა სპეციალური ტექნიკური ქსოვილებისა; 3) ბაგირი, ბაწარი, თოკი; 4) ქსოვილი ჯუთისა, კანაფისა (საპარკეს გარდა), სელისა, ქერელისა, აგრეთვე სახალიჩე ავეჯეულობისა, ტანსაცმელისა და სასადილოსი; 5) ტილო მსხვილი, შეღებილი, დაჩითული და მრავალფერადი; 6) აბრეშუმისა და ნახევრად-აბრეშუმის ქსოვილები, საღვჩაქე, გარდა სპეციალური

ტექნიკური ქსოვილებსა; 7) მატყლის ჩული; 8) ხალიჩები, გარდა აზიური წარმოების ხალიჩებისა; 9) ხელით ნაქსოვი და დაწნული ნაკეთობა, აბრეშუმის ყაითანი, საღებავი ბაბთა და ნაქარგი.

X. გრაფიკულ მრეწველობაში.

1) მელანი ყოველნაირი და ყოველგვარი დანიშნულებისა (სითხედ და გამაგრებელი); 2) საშტემპელო საღებავები და ბალიშები შტემპელებისათვის; 3) ლენტები საწერი მანქანისათვის ყოველნაირი, ე. ი. ჩვეულებრივი, გადასაღები და შაპიროგრაფისა; 4) საკონტროლო წებო და ჰუმერაბიკი სითხედ.

XI. საფარმაცევტო მრეწველობაში.

1) გალენის პრეპარატები (დანაყენი, საცხებელი, ექსტრაქტი); 2) წამლის ბალახეულობა, გარდა: ნეძებალახის ფოთლებისა, სტროფანტის თესლისა, სასაქმებელი კაკლისა, სენის ფოთლებისა, ქინაქინის კანისა, ამერიკული შიშინას (крушина) ძირისა, აგარ-აგარისა, სენეგისა, ყვითელი კოქისა, კანდურანგოს კანისა, სალილე ძირისა, თურინჯის ბალახის ქერქისა, ინდოეთის კანაფისა, „რევენის“ ძირისა, „საბადილის“ თესლისა, წენგოსი, კოკას ფოთლებისა, საღებვის ძირისა, რატანის ძირისა, გუნდისა, დარიჩინის ქერქისა, კაქტუსის ფოთლებისა, კავა-კავას ძირისა, შავი პილპილისა, მიხაკისა, კარდამონისა, იმბირისა და კურკუმისა; 3) სიმეფენი არა ორგანიული (გაუწმენდელი), გარდა ფოსფორის სიმეფისა; 4) პატენტინი საშუალებანი, იმის აღუნიშვნელად დაწვრილებით, რასაც იგი შეიცავს; 5) ეთერი უბრალო და ქლოროფორმები; 6) სახვევი მასალა; 7) სადენინფექციო აპარატები (ჰიდროპულტი, ავტოკლავი, სადენინფექციო კამერები).

XII. სასოფლო-სამეურნეო მანქანა—მკეთებლობაში.

1) საკიდი გუთანის ხის საკვალევი; 2) ბულგარეთ-ინგლისური რკინის გუთანის ყოველნაირი; 3) ბუკერო-სახნისი უბრალო და რთული გასაცხავებელი; 4) ფარცხი და კულტივატორი ხის ჩარჩოთი; 5) რკინის ესტარპატორი და ფარცხი-ესტარპატორი; 6) წარაფის მჭრელი ყოველნაირი; 7) მიწის მოსაყრელი ხის საკვალევი; 8) „მარკერი“ (როგორც დამოუკიდებელი იარაღი; 9) პურის გამფანტავი გასაცხავებელი; 10) რიგ-რიგად რთული გასაცხავებელი პუოეულისთვის და სასუქისათვის; 11) სამკელი; 12) ცხენიანი საცხებელი, დაფის სიგრძით, 23—6 და რვა ცხენიანზე მეტი და ამომძრავი მისთვის; 13) ყოველგვარი სანიავებელი, სანიავებელი-გადამრჩევი და გადამრჩევი, გარდა კლეიტონის, რებერის და „ტრიუმფ“-ის ტიპისა და აგრეთვე ისეთისა, რომელსაც აქვს სპეციალური დანიშნულება; 14) კლანკილა; 15) ხელით მომქმედი თივის წნეხი; 16) საცხენო თივის წნეხი, ვიტმანის ტიპისა არა ნაკლებ 100 ფუთისა სიმძიმით.

XIII. სხვადასხვა

1) თევზის კონსერვი; 2) შაქარი და სახარინი; 3) საკონდიტრო პროდუქტები; 4) კოსმეტიკა და პარფიუმერია; 5) ყოველგვარი გალანტერეა, გარდა ჰიგიენის და სანიტარიის საგნებისა; 6) ბრინჯი, გარდა სპარსულისა; 7) ავტომობილები „ფორდი“.

შენიშვნა: გამონაკლისად ნება მიეცეს ცალკე სახელმწიფო დაწესებულებათ, საწარმოებს და კოოპერატიულ შენაერთებს ამა სიებში აღნიშნულ საქონელთაგან შემოიტანონ ის საგნები, რაც ამიერკავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საგვგამო დამტკიცების წესით ნებადართული იქნება იმ მოსაზრებით, რომ ამ საგანთა საკმაო რაოდენობის შეძენა შეუძლებელია სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ბაზარზე, ან იმ მოსაზრებით, რომ შეუძლებელია მათი მიღება სამუშაოს პირობებთან შეფარდებულ ვადაზე.

ბ) სია იმ საქონლისა, რომლის გატანაც ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებიდან დროებით აკრძალულია.

1) მატყლი ყოველგვარი; 2) სელი ყოველნაირი; 3) აბრეშუმის ნაძენდი; 4) შინაური მსხვილი ოთხფეხი საქონელი.

საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარი ივანიანი.

საქმეთა მმართველი გორჩაკოვი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წლის აპრილის 24 თარიღის 91 №-ში

დაპირაპირი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

1923 წლის აპრილის 23.

85. ამიერკავკასიის შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრალური კომისიისათვის ფილატელური მასალის გადაცემის შესახებ.

ამიერკავკასიის შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრალური კომისიის საშუალებათა გაძლიერებისათვის ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. გადაცეს ამიერკავკასიის შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრალურ კომისიას მთელი მარაგი ფილატელისა, რაც არის ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოებში, გარდა სამუზეუმო ფონდისა, და მხოლოდ მას მიენიჭოს უფლება მათი რეალიზაციისა.

2. კოლექციონერების მიერ ფილატელური მასალის უცხოეთში გაცვლის შემთხვევისათვის (თითო ეკუმულიარად, ღირებული არა უმეტეს 500 მანეთისა ოქროთი—კატალოგით) დაწესდეს სპეციალური გადასახადი ამიერკავკასიის შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრალური კომისიის სასარგებლოდ ღირებულების 10%ის რაოდენობით.

3. ნება მიეცეს ამიერკავკასიის შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრალურ კომისიას გამოუშვას ამ მიზნით ნებართვის მარკები, დასამოწმებლად

ამ სპეციალური გადასახადის გასტუმრებისა; მარკა დაეკრის საფოსტო ამანათს უცხოეთში გასაგზავნის და უცხოეთიდან გამოგზავნილს, მასში ფილატელური მასალის მოთავსებით დაწესებული ფორმისა და ღირებულების ფარგლებში.

4. მიენდოს ამიერკავკასიის ცენტრ. აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრალურ კომისიას, საგარეო ვაჭრობის და განათლების სახალხო კომისარიატებთან, კუთვნილებისამებრ, შეთანხმებით, შეიმუშაოს სათანადო ინსტრუქციები და იზრუნოს ამა დადგენილების სასწრაფო განხორციელებისათვის.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ამბარცუმიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **თალიბლი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წლის აპრილის 26-ს თარიღის 93 №-ში.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომისიებისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის აპრილის 23.

86. დროებითი გამოსაღების დაწესების შესახებ 1923 წლისათვის ამიერკავკასიის შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრალური კომისიისა და რესპუბლიკანური შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრალური კომისიების სასარგებლოდ.

ამიერკავკასიის შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრალური კომისიისა და რესპუბლიკანური შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრალური კომისიების საშუალებათა გასაძლიერებლად დაწესებულ იქნეს 1923 წლისათვის შემოსავლის შემდეგი წყაროები კუთვნილებისამებრ:

ამიერკავკასიის შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრალური კომისიის სასარგებლოდ:

1. სალიცენზიო გამოსაღები იმ საქონელზე, რაც შემოდის უცხოეთიდან ან გადის უცხოეთში 25% რაოდენობით გადახდევინებული გადასახადისა.

2. ანარიცხი სამოქალაქო გადასახადიდან შემოსული თანხის 5% რაოდენობით.

3. გამოსაღები სააქციო საზოგადოებათა თვითეული რეგისტრაციისათვის 100 მანეთის რაოდენობით ოქროთი.

4. გამოსაღები უცხოეთში გასატან ვალიუტაზე დადებული გადასახადის ნახევრის რაოდენობით.

5. გადასახადი სათამაშო ქალაღზე 15 კაპიკის რაოდენობით ოქროთი თვითეული დასტისათვის.

6. ფილატელური მასალა სრულად, გარდა აუცილებელი სამუხეუმო კოლექციებისა, რაც განსაზღვრულ იქნება განსაკუთრებული კატალოგებით.

7. ანარიცხი სამგზავრო რკინისგზის ბილეთების გამოსაღებიდან, რაც ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ა.წ. აპრილის 7-ს თარიღითა და 32 №-ით გამოცემული დადგენილებით დაწესებულია „წითელი ჯვრის“ და „წითელი ნახევარ მთვარის“ საზოგადოებათა სასარგებლოდ—50% რაოდენობით.

8. დამატებითი გამოსაღები უცხოეთიდან მოსულ და უცხოეთში მიმავალ პირთა პასპორტებზე—დაწესებული გადასახადის 10% რაოდენობით.

9. შემოსავალი სპეციალური ფულადი ლოტარეის ამიერკავკასიის მასშტაბით.

რესპულიკანური შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრალური კომისიის სასარგებლოდ.

1. დანამატი ბაჟისა ქალაქებში სახლების გაყიდვისათვის და აგრეთვე სამემკვიდრეო ბაჟისა—გადასახდელი ბაჟის 10% რაოდენობით.

2. გადასახადი თეატრების, კინოების და სხვა გასართობი ადგილის შესასვლელ ბილეთებზე—ბილეთის ფასის 5%-დან 10%-დე.

3. გადასახადი ფუნიკულორის ბილეთებზე თვითეული გზობისათვის—ბილეთის ფასის 10% რაოდენობით.

4. გადასახადი ბირჟაში შესასვლელ ბილეთებზე—50.000 მანეთის რაოდენობით ერთხელ შესვლისათვის და სამი მილიონის რაოდენობით მუდმივსათვის.

5. თვითეული მოგებიდან ლოტოში 50%-დე.

6. გადასახადი სამგზავრო ავტომობილებზე, გარდა იმ სახელმწიფო დაწესებულებათა კუთვნილი ავტომობილებისა, რომელნიც არ იხდიან სარეწავ გადასახადს—10 მანეთის რაოდენობით ოქროთი ერთდროულად.

დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ამბარცუმიანი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჰუხეინოვი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **თალიბლი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წლის აპრილის 26-ს თარიღის 93 №-ში.



დაკრძალი ამიერკავკასიის აღმასრულებელი კომისია- ტიისა და ამიერკავკასიის სოფ. ფედ. საბჭო-რესპ. სა- ხალხო კომისარიათა საბჭოში

1923 წლის აპრილის 23.

87. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭო. რესპუბლიკაში ამ ქამად სოფლის მეურნეობაზე გაწერილი, როგორც სახელმწიფო, ისე ადგილობრივი პირდაპირი გადასახადების მომქმედი დეკრეტებისა და დადგენილებათა გასაუქმებლად—ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისარიათა საბჭო ადგენენ:

1. იმ გადასახადების ნაცვლად, რაც ამ ქამად გაწერილია სოფლის მოსახლეობაზე, სახელდობრ: ერთიანი ნატურალური, შრომისა და შარაგზით ტვირთ-შიდვისა, პროგრესიულ-საშემოსავლო, საკომლო-სამამულო, სამრეწველო ბაღებზე და ბოსტნებზე და, აგრეთვე, ყველა ადგილობრივი გადასახადის ნაცვლად, რაც გაწერილია სოფლის მეურნეობაზე,—დაწესებულ იქნეს 1923—1924 წ.წ. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი იმ მოსახლეობისათვის, რომელიც ეწევა სოფლის მეურნეობას და, აგრეთვე, საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობათათვის.

შენიშვნა 1. გადასახადი ესე გავრცელდება აგრეთვე ქალიქისა და ქალაქური ტიპის დასახლებული ადგილის იმ მოსახლეობაზე, რომელიც ეწევა სოფლის მეურნეობას და რომლისთვისაც ეს მეურნეობა შეადგენს ძირითად საქმეს.

შენიშვნა 2. სამრეწველო და სავაჭრო მოსაქმეობა სოფლის მოსახლეობისა დაბეგვრილ იქნება ვაჭრობისა და მრეწველობის გადასახადის შესახებ არსებულ კანონდებულებათა წესით.

2. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი გამოანგარიშებულ უნდა იქნეს და გამოიხატოს ერთიანი წონადი საზომით (ერთი ფუთი ხორბალი)—ხორბლის ერთფულში.

3. გადასახადი სოფლის თვითფულ ცალკე მეურნეობას გადაჰხდება ფულად ან ნატურით იმისდამხედვით, თუ რა რაიონში მდებარეობს მეურნეობა.

შენიშვნა 1. რაიონებს, სადაც გადასახადი აკრეფული უნდა იქნეს ნატურით, განსაზღვრავს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისარიათა საბჭო ამიერკავკასიის ფინანსთა და სასურსათო სახალხო კომისარიატების წარდგენით. წინასწარი ცნობები ამისათვის უნდა წარადგინონ ამიერკავკასიის ფინანსთა და სასურსათო კომისარიატების რწმუნებულებმა და ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ თვითფულური რესპუბლიკის სახალხო კომისარიათა საბჭოს სანქციით. აღნიშნულ რაიონებს უფლება ექნებათ გადასახადი გადაიხადონ ფულითაც.

შენიშვნა 2. საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობას გადასახადი უპირატესად ფულად გადაჰდება.

4. ერთიანი სასოფლო-სამეურნო გადასახადის ნატურალური ნაწილი გადახდევინებულ უნდა იქნეს ხორბლეულის პროდუქტებით.

შენიშვნა. განსაკუთრებულ შემთხვევაში ამიერკავკასიის სასურსათო სახალხო კომისარიატს უფლება ეძლევა ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით დააწესოს გადასახადის აკრეფა სხვა პროდუქტებითაც.

5. ხორბლის ერთეულის ფულად ეკვივალენტს რესპუბლიკების თვითეული რაიონისათვის განსაზღვრავენ და საჭიროების მიხედვით გადაინჯავენ ამიერკავკასიის ფინანსთა და სასურსათო სახალხო კომისარიატების რწმუნებულნი მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან და ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან შეთანხმებით და ამიერკავკასიის ფინანსთა და სასურსათო სახალხო კომისარიატების დამტკიცებით.

6. სოფლის მეურნეობის ყოველი პროდუქტის გადატანის დროს ფუთი ხორბლის წონად საზომზე, ეკვივალენტი (ნორმა) განისაზღვრება იმავე წესით, როგორც ფულადი ეკვივალენტი (მუხ. 5.)

7. გადასახადის რაოდენობა თვითეული მეურნეობისათვის გამოანგარიშებულ უნდა იქნეს:

ა) იმის მიხედვით, თუ რა სივრცისაა, — სახნავზე გადატანით, — მეურნეობაში სახნავი, ვენახი, ხეხილის ბაღი და სათიბი და აგრეთვე სხვა კულტურიანი მიწები (გარდა იმ კულტურათა, რაც ჩამოთვლილია მე-1 მუხლის 1-ლ პუნქტში)

ბ) იმის მიხედვით, თუ როგორი მოსავლიანობა აქვს პურეულს ერთ დესეტიანაზე.

გ) იმის მიხედვით, თუ რამდენი წლოვანი მუშა და მსხვილი რქოსანი და წვრილფეხა საქონელია მეურნეობაში.

გლეხის თვითეული მეურნეობისათვის გადასახადის ჯამის გამოსანგარიშებლად, ამ მეურნეობის სილონიერისა და გადახდის უნარიანობის მიხედვით, დაწესებულია:

ა) მეურნეობათა ჯგუფები სახნავისა, ვენახისა, ხეხილის ბაღისა, სათიბისა და სხვა კულტურიანი მიწების რაოდენობის მიხედვით.

ბ) მოსავლიანობის კატეგორიები დესიატინაზე ფუთობით.

გ) მეურნეობათა ჯგუფები ოთხფეხი საქონლის რაოდენობის მიხედვით მსხვილ რქოსან საქონელზე გადატანით.

შენიშვნა 1. დასაბეგვრი მიწების რიცხვში ჩაითვლება სახნავი საშემოდგომო და სავაზაფუხოლო ნათესით, აგრეთვე ბალახეულის ნათესით ანეული და სანახირო მიწები.

შენიშვნა 2. იმ ჯოგის რიცხვში, რომელიც აღნუსხულ უნდა იქნეს დაბეგვრისათვის, ჩაითვლება მუშა — ოთხფეხი საქონელი სამუშაო წლოვანებისა (სამ წელს გადაცილებული ცხენი, ხარი, ჯორი, ვირი და ოთხ წელს გადაცილებული კამეჩი და აქლემი), მსხვილი რქოსანი საქონელი, ოთხ წელს გადაცილებული და წვრილფეხა საქონელი, ერთი წლისაზე უფროსი.

შენიშვნა 3. სათიბისა, ვენახისა, ხეხილის ბაღისა და სხვა კულტურაინი მიწების სახნავ მიწაზე გადატანის ნორმას და აგრეთვე მუშა და წვრილფეხა საქონლის მსხვილ რქოსან საქონელზე გადატანის ნორმას დააწესებს ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებული და სასურსათო სახალხო კომისარიატის რწმუნებული მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან და ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან შეთანხმებით და დამტკიცებს ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატი და სასურსათო სახალხო კომისარიატი.

8 თვითეული რაიონისათვის მოსავლიანობის კატეგორიები, მას შემდეგ რაკი გამოირკვევა, თუ რა პირი უჩანს ნამდვილად მოსავალს, დაწესებულ უნდა იქნეს ამიერკავკასიის ფინანსთა და სასურსათო სახალხო კომისარიატების რწმუნებულთა მიერ, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან და ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან შეთანხმებით და თვითეული რესპუბლიკის სახალხო კომისარიატსა და სასურსათო კომისარიატებს, რომელნიც ერთად წარუდგენენ მას დამტკიცებლად ამიერკავკასიის სახალხო კომისარიატს.

თემებისათვის (საქართველოში) და უბნებისათვის (სომხეთსა და აზერბაიჯანში) მოსავლიანობის კატეგორიებს დააწესებს მაზრის აღმასრულებელი კომიტეტი სამაზრო საგადასახადო კომისიის წარდგენით, მაგრამ ისეთი ანგარიშით, რომ შემცირებულ არ იქნეს გადასახადის ის ნავარაუდები თანხა, რომელიც მოსავლიანობის კატეგორიის თანახმად გამოანგარიშებული იქნება თვითეული რაიონისათვის და დამტკიცებული ამიერკავკასიის სახალხო კომისარიატს მიერ.

შენიშვნა. ამიერკავკასიის ფინანსთა და სასურსათო სახალხო კომისარიატების რწმუნებულთ უფლება ეძლევათ,—მიწათმოქმედების სახ. კომისარიატთან და ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან შეთანხმებით,—მოსავლის განსაკუთრებული სიჭრელის გამო, ნება დართონ სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს, რათა სოფლებისთვისაც დააწესონ განსაკუთრებული კატეგორიები.

9. სახელმწიფოსათვის უაღრესად სასარგებლო კულტურათა წარმატებისათვის და მეურნეობის მეთოდების გასაუმჯობესებლად დადგენილ იქნეს შემდეგი შედეგათი:

1) განთავისუფლდეს გადასახადისაგან მიწები: დათესილი ბამბით, წამლის ბალახეულის და ზაფრანით, ჩაის პლანტაციები და მეაბრეშუმეობისათვის თუთის ხეებით გაშენებული ადგილები და საცდელი მინდვრები და საჩვენებელი და სათესლე პლანტაციები—საგანგებო სიის მიხედვით, რომელსაც შეიმუშავენს ამიერკავკასიის სასურსათო სახალხო კომისარიატი, ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

2) არ დაიბეგრება გადასახადით ჯიშანი ოთხფეხი საქონელი და მეფუტკრეობა.

3) მეურნეობა, რომელსაც 1921—1923 წწ. გაუწევია თვალსაჩინო მუშაობა მორწყვისა, დაშრობისა და ქვიშიანი და ხრამიანი ადგილების მოვარებისა—

თვის, განთავისუფლდება იმ გადასახადის 25 პროც.-საგან, რაც შეეწერება მელიორაციამწილ მიწას ამიერკავკასიის ფინანსთა და სასურსათო სახალხო კომისარიატების მიერ გამოცემული ინსტრუქციის წესისამებრ. გამოუსადეგარი მიწა, რომელიც ამ ჭამად ჩარიცხული არ არის დასაბეგვრი მიწების სივრცეში, უკეთეს მისი მელიორაცია მოხდება, განთავისუფლდება დაბეგვისაგან სამი წლის განმავლობაში მუშაობის დამთავრების შემდეგ.

10. გადასახადის გასტუმრების გასაადვილებლად იმ პირთა ოჯახებს, რომელნიც იმყოფებიან ან წინაღ ყოფილან წითელი არმიის და ფლოტის ნამდვილ სამსახურში,—მიეცეთ შემდეგი შეღავათი:

ა) წითელი არმიისა და ფლოტის მოსამსახურე, რომელსაც მეურნეობაში ექნება სხვადასხვა სანახი ორ ღვსიატინამდე სახნავზე გადატანით, სრულიად განთავისუფლდება გადასახადისაგან;

ბ) იმ პირის ოჯახი, რომელიც ითვლება წითელი არმიის ან ფლოტის სამსახურში, სრულიად განთავისუფლდება გადასახადისაგან, უკეთეს მეურნეობაში არ იმყოფება სხვა შრომის უნარიანი წევრი ოჯახისა;

გ) სამოქალაქო ომის ინვალიდთა და იმ წითელარმიელთა ოჯახებს, რომელნიც ტყვედ იმყოფებიან, ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისათვის ეძლევათ იგივე შეღავათი, რაც იმ წითელარმიელთა ოჯახებს, რომელნიც ირიცხებიან ნამდვილ სამსახურში.

11. ბიუჯეტით გათვალისწინებული ადგილობრივი ხარჯების დასაკმაყოფილებლად სკოლებისა და საავადმყოფოების შენახვისათვის, გზებისა, ხიდებისა და სხვა ადგილობრივი საჭიროებისათვის,—მოხდება პროცენტული ვადარიცხვა აკრეფილი გადასახადის თანხიდან. ანარიცხის რაოდენობას ადგილობრივი საჭიროებისათვის განსაზღვრავს ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭო. ანარიცხის გადაცემის წესს ადგილობრივი ორგანოებისათვის განსაზღვრავენ ამიერკავკასიის სასურსათო და ფინანსთა სახალხო კომისარიატები ურთიერთთან შეთანხმებით.

12. თვითეულ რესპუბლიკაში მოეწყობა განსაკუთრებული საგადასახადო კომისია ამიერკავკასიის ფინანსთა და სასურსათო სახალხო კომისარიატისა და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის და ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს წარმომადგენელთა შედგენილობით, ხოლო მაზრებში,—სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებთან მოეწყობა კომისია—სამი წევრისაგან. კომისიების მოვალეობას შეადგენს წინასწარი განხილვა და წარდგენა ამიერკავკასიის ფინანსთა და სასურსათო სახალხო კომისარიატებისათვის, ან სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტებისათვის კუთვნილებისამებრ:

ა) მოსავლიანობის სარაიონო, სათემო (საქართველოში) და საუბნო (სომხეთსა და აზერბაიჯანში) კატეგორიებისა;

ბ) რაიონებისა, რომელთაც გადასახადი უნდა გადაჰხდეთ ნატურით;

გ) ფუთი ხორბლის ეკვივალენტისა (ნორმისა) ფულად და პროდუქტებად (მუხ. 5 და 6);

დ) საკითხისა გადასახადის გადახდევინებაში შეღავათის შეფარდების შესახებ.

13. შედგენა სასოფლო საგადასახადო სიებისა ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრის ობიექტებისა და ნიშნების (სახნავისა, ნათესისა, ხეხილის ბაღებისა, ვენახისა, სათიბისა და სხვა კულტურიანი მიწებისა და ოთხფეხი საქონლის) დაწესებით თვითეული მეურნეობისათვის, სწარმოებს სათემო და საუბნო აღმასრულებელი კომიტეტების მიერ სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების ხელმძღვანელობით და პასუხისმგებლობით და იმ სამეულებს საერთო მეთვალყურეობისა და კონტროლით, რომლებიც შესდგება: სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელისაგან (თავმჯდომარე სამეულისა) და ფინანსთა ინსპექტორისა და სასურსათო სახალხო კომისარიატის რწმუნებულისაგან.

მოსავლიანობის კატეგორიების დამტკიცების შემდეგ ამიერკავკასიის სახალხო კომისარიატს საბუკოს მიერ რაიონებისათვის, ხოლო სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების მიერ თემებისა და უბნებისათვის, თემებისა და უბნების აღმასრულებელი კომიტეტები შეადგენენ საგადასახადო სიებს, რომელშიაც უნდა შეიტანონ თვითეულ მეურნეობაზე გაწერილი გადასახადის თანხა; საგადასახადო სიის დამტკიცებისას სათანადო ფინანსთა ინსპექტორის და სასურსათო სახალხო კომისარიატის რწმუნებულის მიერ, საბოლოოდ განსაზღვრული თანხა გადასახადისა შეტანილ უნდა იქნეს დაწესებულ საშენაწერო (ოკლადნოი) ფურცელში, რომელიც დაუყოვნებლივ გადაეცემა გადამხდელს.

14. პასუხისმგებლობა დასაბეგრი სივრცისა და ოთხფეხი საქონლის სისწორით და თავის დროზე გამორკვევისათვის თვითეულ მოურნეობაში, გადასახადის რაოდენობის სწორი გამოანგარიშებისათვის და აგრეთვე საშენაწერო სასოფლო ფურცლების თავის დროზე შედგენისათვის და გადასახადის თავის დროზე და სისრულით აკრფისათვის — ეკისრება სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს.

15. იმ რაიონებში, სადაც გადასახადი გადახდევინებულ უნდა იქნეს მართოდ ფულად, გადასახადის აკრფა დაეკისრება ფინანსთა სახალხო კომისარიატის ორგანოებს და დაწესებულებათ; აღნიშნულ რაიონებში სასურსათო სახალხო კომისარიატის საგადასახადო აპარატი გადადის ფინანსთა სახალხო კომისარიატის ხელში. იმ რაიონებში, სადაც გადასახადი გადახდევინებულ უნდა იქნეს ნატურით, გადასახადი აკრფა დაეკისრება სასურსათო სახალხო კომისარიატის ორგანოებს, ხოლო ამასთანავე ფინანსთა სახალხო კომისარიატი ვალდებულია მოაწყოს კასები გადასახადის ფულადი ნაწილის მისაღებად მცხოვრებთაგან და ხელმძღვანელობა გაუწიოს ამ კასებს.

16. გადამხდელი ვალდებულია მოსავლის დაბინავეებისა და საშენაწერო ფურცლის ჩაბარებისთანავე შეუდგეს გადასახადის გასტუმრებას. გადასახადის შეტანის ვადებს ფულად და ნატურით დააწესებენ ამიერკავკასიის ფინანსთა და სასურსათო სახალხო კომისარიატები.

17. გადამხდელს შეუძლიან შეიტანოს სამაზრო საგადასახადო კომისიაში განცხადება და საჩივარი, როგორც დაბეგვრის ობიექტებისა და ნიშნების არა სწორი აღნუსხვის შესახებ, ისე თვით გადასახადის შენაწერის გამოანგარიშებისა

და გადახდევინების გამო. განცხადებისა და საჩივრის შეტანა ვერ შეაჩერებს გადასახადის გადახდევინებას.

შენიშვნა. განცხადება იმის შესახებ, რომ ესა თუ ის სოფელი უკანონოდ არის ჩარიცხული მოსავლიანობის ამა თუ იმ კატეგორიაში, შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ თემისა, უბნისა, ან სოფლის მიერ, ხოლო არა ცალკე გადახდელის მიერ.

18. გადახდელს შეუძლიან სამაზრო სავადასახადო კომისიის გადაწყვეტილება განასაჩივროს განსაკუთრებულ სავადასახადო კომისიაში.

19. მოქალაქე, რომელიც გადასახადს არ გადაიხდის, პასუხს აგებს პირადად და თავისი ქონებით სასამართლოს ან ადმინისტრაციულ წესით; დაწესებულ ვადაში შეუტანლობისთვის გადასახადს მიერიცხება საურავი.

ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განაკვეთები დაწესებულ უნდა იქნეს ცალკე დეკრეტით.

21. ამა დეკრეტის განვითარებისათვის ამიერკავკასიის ფინანსთა და სასურსათო სახალხო კომისარიატები ერთად გამოსცემენ საჭირო დადგენილებათ და ინსტრუქციებს და დააწესებენ ყველა ვადას ამა დეკრეტის განხორციელებისათვის.

22. მოქმედება ყველა, — გამოუნაკლისად, — წინადა გამოცემული დეკრეტისა და დადგენილებისა სოფლის მეურნეობაზე სახელმწიფო და ადგილობრივ გადასახადის დაწესების შესახებ მოისპოს 1923 წელს ივლისის 1-დან, ხოლო ნარჩენი ამ გადასახადებისა ცალკე იქნეს გადახდევინებული.

23. დეკრეტი ესე შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ტელეგრაფით.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი

კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ამბარცუმიანი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო

კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

სასურსათო სახალხო კომისარი **დ. ბუნიატ-ზადე.**

ფინანსთა სახალხო კომისარი **ნ. ტუმანოვი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი

კომიტეტის მდივანი **ბ. თალიბლი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წ. აპრილის 26-ს თარიღის 93 №-ში.

დადგენილება № 40. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის აპრილის 23.

ES. დებულება პურისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა ვაჭრობის სახელმწიფო-სამეურნეო ორგანოს — „ამიერკავკასიის პური-პროდუქტის“-ს შესახებ ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სასურსათო სახალხო კომისარიატთან.

1. „ამიერკავკასიის პური-პროდუქტი“-ს მიზანი, მისი უფლება და მოვალეობა.

1. პურისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დაშვადებისათვის ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე და ამ პროდუქტათ

ვაქრობისათვის, როგოც სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ტერიტორიაზე, ისე უცხოეთშიც, მოეწყოს ამიერკავკასიის სასურსათო სახალხო კომისარიატთან სახელმწიფო-სამეურნეო ორგანო — „ამიერკავკასიის პური-პროდუქტი“.

2. აღნიშნული მიზნის განხორციელებისათვის „ამიერკავკასიის პური-პროდუქტს“ უფლება ექვლება:

ა) დაამზადოს და იყიდოს, გადაამუშაოს და მოახდინოს რეალიზაცია სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ფარგლებში და, ამიერკავკასიის სახალხო კომისარიატის საბჭოს მიერ 1923 წლის თებერვლის 15-ს თარიღითა და №-ით გამოცემული დადგენილების თანახმად, უცხოეთში პურისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა.

ბ) თავის განკარგულებაში იქონიოს მისდამი კუთვნილი ქონება კომერციული საწარმოს საფუძველზე.

გ) იყოლიოს თავისი წარმომადგენელები და აგენტები, მოაწყოს და გახსნას განყოფილებანი, კონტორები, საწყობები, დუქნები და ყოველგვარი სხვა დამხმარე საწარმო სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ტერიტორიაზე.

დ) ისარგებლოს კრედიტით, დაამყაროს საკორესპონდენტო ურთიერთობა ადგილობრივ და საერთო-ფედერატიულ სახელმწიფო-სამეურნეო დაწესებულებებთან და საწარმოებთან, ბანკებთან, საზოგადოებრივ-სამეურნეო ორგანიზაციებთან და კერძო პირებთან და აგრეთვე უცხოეთის კომერციულ და საეაქრო საწარმოებთან.

ე) მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო-სამეურნეო, საზოგადოებრივ-სამეურნეო და შერეულ საზოგადოებათა ორგანიზაციაში და პასუხი შექმნით შევიდეს მათში მოწილედ.

3. „ამიერკავკასიის პური-პროდუქტს“ მიეკუთვნება იურიდიული პირის უფლებანი. მას შეუძლიან შეიძინოს და გაასხვისოს ყოველგვარი, ტრილიდან გამოურიცხავი ქონება, დასდოს ყოველნაირი ხელშეკრულება და ვალდებულება, აიღოს სესხი, ვალდებულ გახდეს თამასუქებით, იძიოს და პასუხი აგოს სასამართლოს წინაშე.

4. „ამიერკავკასიის პური-პროდუქტს“ აქვს ბეჭედი თავისი სახელწოდების აღნიშვნით.

II. „ამიერკავკასიის პური-პროდუქტი“-ს საშუალებანი.

5. „ამიერკავკასიის პური-პროდუქტი“-ს სატრიალებელი კაპიტალი შესდგება ძირითადი ფონდებისაგან, რასაც გასცემს ამიერკავკასიის სახალხო კომისარიატის საბჭო ნაღდ ფულად და საქონლით.

III. „ამიერკავკასიის პური-პროდუქტი“-ს გამგეობა და მისი უფლება-მოვალეობანი.

6. „პური-პროდუქტი“-ს სათავეში სდგას გამგეობა თამჯდომარისა და ორი წევრის შედგენილობით, რომელთაც დანიშნაეს ამიერკავკასიის სასურსათო სახალხო კომისარიატი.

„ამიერკავკასიის პური-პროდუქტი“-ს მოქმედების გაფართოებასთან ერთად გამგეობის წევრთა რიცხვი შეიძლება გადიდებულ იქნეს ოთხამდე.

7. გამგეობის განკარგულებაშია მთელი საქმეები და კაპიტალები „ამიერკავკასიის პური-პროდუქტი“-სა და იგი ანხორციელებს ყველა უფლებას, რაც ამა დებულების მე-2 და მე-3 მუხლით მინიჭებული აქვს „ამიერკავკასიის პური-პროდუქტს“.

8. „ამიერკავკასიის პური-პროდუქტი“-ს საქმეთა უახლოესი გამგებლობისათვის ამიერკავკასიის სასურსათო სახალხო კომისარიატი დანიშნავს გამგეობის წევრთა რიცხვიდან ან გარეშე პირთაგან დირექტორ-განმკარგულებელს, რომელიც მოქმედობს გამგეობის ინსტრუქციის თანახმად.

9. გამგეობა მთლიანად ეწევა სრულ პასუხისმგებლობას „ამიერკავკასიის პური-პროდუქტი“-ს საქმეთა სწორი და მიზანშეწონილი წარმოებისათვის.

10. გამგეობა მიმართავს ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტსა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს, ამიერკავკასიის სასურსათო სახალხო კომისარიატის მეშვეობით, ხოლო ყველა დანარჩენ დაწესებულებას, ორგანიზაციას და პირს—უშუალოდ.

IV. „ამიერკავკასიის პური-პროდუქტი“-სა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სასურსათო სახალხო კომისარიატის ურთიერთობანი.

11. „ამიერკავკასიის პური-პროდუქტი“ თავის მოქმედებაში ასრულებს საერთო დირექტივებს, რასაც მას მისცემს ამიერკავკასიის სასურსათო სახალხო კომისარიატი.

12. თვითეული საოპერაციო პერიოდის დაწყების წინ გამგეობა წარუდგენს ამიერკავკასიის სასურსათო სახალხო კომისარიატს დასამტკიცებლად სანიმუშო გემასა და მუშაობისა და ხარჯების სანიმუშო აღრიცხვას მომავალი საოპერაციო წლისათვის.

13. გამგეობა კვარტალურად წარუდგენს ამიერკავკასიის სასურსათო სახალხო კომისარიატს მოკლე ანგარიშს თავისი მოქმედების შესახებ და სავაჭრო ბალანსს. ბალანსები გამოქვეყნდება საყოველთაო ცნობისათვის.

14. თვითეული საოპერაციო წლის გასვლისას, მაგრამ არა უგვიანეს აპრილის 1-სა, გამგეობა წარუდგენს ამიერკავკასიის სასურსათო სახალხო კომისარიატს წლიურ ანგარიშს „ამიერკავკასიის პური-პროდუქტი“-ს ოპერაციების შესახებ.

შენიშვნა. საოპერაციო წელიწადი ითვლება ოქტომბრის 1-დან სექტემბრის 30-დე, გარდა პირველი-საოპერაციო წლისა, რომელიც დაიწყება ამა დებულების დამტკიცების მომენტიდან და გათავდება 1923 წლის სექტემბრის 30-ს.

15. ამიერკავკასიის სასურსათო სახალხო კომისარიატი კონტროლსა და რევიზიას გაუწევს „ამიერკავკასიის პური-პროდუქტი“-ს მთელ მოქმედებას.

V. ამიერკავკასიის პური-პროდუქტი“-ს ქონებრივი პასუხისმგებლობა.

16. „ამიერკავკასიის პური-პროდუქტი“-ს პასუხისმგებლობა ყველა მისი ვალისა და ვალდებულებისათვის შემოფარგულებულია იმ კაპიტალითა და ქონებით,

რაც გადასულია მის განკარგულებაში ამა დებულების მე-5 მუხლის წესისამებრ.
 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო
 კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჭუსეინოვი**
 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო
 კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **მ. პოლის.**
 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო
 კომისართა საბჭოს მდივანი **გ. სარუხანოვი.**
 გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წლის აპრილის 26-ს თარიღის
 93 №-ში.

**დედგენილება № 41. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ.
 რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.**
 1923 წლის აპრილის 23.

**89. ერთდროული აქციზისა და მისი კატეგორიების დაწესების შე-
 სახებ იმ ადგილების სასასმელო საწარმოთათვის, სადაც არ
 სწარმოებს ყურძნის ღვინის აღნუსხვა.**

1923 წლის თებერვლის 10-ს თარიღითა და 17 №-ით გამოცემული დად-
 გენილების 27—30 მუხლების დამატებისათვის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სასასმელო საწარმოთათვის იმ ადგილებში, სადაც არ სწარმოებს ყურძ-
 ნის ღვინის აღნუსხვა, დაწესდეს ერთდროული აქციზი.
2. აქციზი გარდაჰხდება ერთდროულად პატენტის აღების დროს.
3. ერთდროული აქციზის გარდახდევინებისათვის დაწესდეს სამი კატეგო-
 რია ადგილებისა და შემდეგი განაკვეთი აქციზისა:

- ა) პირველ კატეგორიაში ორმოცდაათი მილიონი მანეთი,
 - ბ) მეორე კატეგორიაში ოცდაათი მილიონი მანეთი და
 - გ) მესამე კატეგორიაში ხუთმეტი მილიონი მანეთი წლიურად.
4. ადგილების დანაწილება კატეგორიებად დაეკისრება ამიერკავკასიის ფი-
 ნანსთა სახალხო კომისარიატს.
5. დედგენილება ესე შედის ძალაში დღიდან მისი გამოქვეყნებისა.
 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომი-
 სართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჭუსეინოვი.**
 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო
 კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **მ. პოლის.**
 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო
 კომისართა საბჭოს მდივანი **გ. სარუხანოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წლის აპრილის 26-ს თარი-
 ლის 93 №-ში

დადგენილება № 42. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის აპრილის 26.

90. სახელმწიფო ფონდების აღნუსხვის შესახებ.

1. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატს ევალება, ერთი თვის განმავლობაში დლიდან ამა დადგენილების აღგილობრივ მიღებისა, მოახდინოს სწორი აღრიცხვა ყველა სახელმწიფო ფონდებისა, რაც ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს განკარგულებით, ან რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებისა და გაერთიანებული ფედერატიული სახალხო კომისარიატების განკარგულებით გადაეცა ცალკე სახალხო კომისარიატებსა ან დაწესებულებებს, მათ შორის სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილთაც.

2. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიტმა, ამიერკავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან შეთანხმებით, შეიმუშაოს შეკითხვის უწყებები ფონდების შესახებ:

ა) ფულადი ფონდების აღრიცხვისათვის

ბ) ქონებრივი, ინვენტარისა და მოწყობილობათა ფონდების აღრიცხვისათვის და

გ) საქონლის ფონდების აღრიცხვისათვის და დაპჯახანოს კუთვნილები-სამებრ.

3. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს და ყველა გაერთიანებულ სახალხო კომისარიატს ევალებათ სათანადო ღონისძიება იხმარონ რათა დადგენილება ესე თავის დროზე და სისწორით იქნეს შესრულებული.

4. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატმა ამა დებულების განსაზღვრებლად გამოსცეს ხოლმე სათანადო ინსტრუქციები.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის

სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **მ. პოლის.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **გ. სარუხანოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წლის აპრილის 28-ს თარიღის 95 №-ში.



დაკრები ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის აპრილის 28.

91. სავალიუტო ოპერაციების შესახებ.

რათა ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოწესრიგებულ იქნეს სავალიუტო და ფულის ტრიალი, სახალხო კომისართა საბჭო აღდგენს:

1. უდავოდ აღეკრძალება ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ ყველა, — გამოუნაკლისად, სახელმწიფო, — მათ შორის კომუნალურსაც, — დაწესებულებებსა და საწარმოებს, აგრეთვე საზოგადოებრივ ორგანიზაციებს (კოოპერატივებს, შერეულ საზოგადოებას და სხვ.) იქონიონ თავიანთ სალაროში სავალიუტო საფასური, როგორც არის: ოქროსა და ვერცხლის ფული, უცხოეთის ვალიუტა, ჩეკი, შეპირებული თამასუქები და გადახდის სხვა საშუალებანი, გამოწერილი უცხოეთის ვალიუტით.

2. 1-ლ მუხლში ჩამოთვლილი სავალიუტო საფასურები შეტანილ უნდა იქნეს სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებაში, რომელიც მფლობელის სახელზე გახსნის სათანადო ანგარიშს იმ ვალიუტით, რომლითაც შეტანა მოხდება.

შენიშვნა. 1-ლ მუხლში დასახელებული ყველა დაწესებულება და საწარმო, რომელსაც ჯერ კიდევ სრულად არ ჩაუბარებია თავისი სავალიუტო საფასური, ვალდებულია შეიტანოს იგი სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებაში არა უგვიანეს 5 დღისა ამა დეკრეტის გამოქვეყნების დღიდან.

3. შეტანილი სავალიუტო საფასურის გაცემა მე-2 მუხლის თანახმად გახსნილი ანგარიშით სწარმოებს მფლობელის პირველი მოთხოვნისთანავე დაუყოვნებლივ და სრულიად დაუბრკოლებლად.

4. აღეკრძალება ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებასა და ორგანიზაციას მიღება და რაიმე გადახდის მოხდენა 1-ლ მუხლში ჩამოთვლილი სავალიუტო საფასურით.

5. ხელშეკრულება, კონტრაქტი და ყოველნაირი ვალდებულება დადებული ოქროს მანეთით და უცხოეთის ვალიუტით. რჩება ძალაში, ხოლო ანგარიშის გასწორება აუცილებლად სწარმოებს ამიერკავკასიის ფულის ნიშნებით ან და რუსეთის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახელმწიფო ბანკის ბანკნოტებით (ჩერვონცებით).

შენიშვნა. ანგარიშის გასწორება უცხოეთის ქალაქის ვალიუტით შეიძლება მარტოდენ იმ ხელშეკრულებით, რაც დადებულია უცხოეთში არსებული საქონლის ყიდვის შესახებ და იმ ვალდებულებით, რომელიც ასეთი ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს.

6. ვალიუტის უცხოეთში გატანა და გაგზავნა შეიძლება არსებული კანონიერი წესით. ხოლო შემოტანა სავალიუტო საფასურისა ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკის ფარგლებში შეუძლიან ყველას დაუბრკოლებლად.

7. 1-ლ მუხლში ჩამოთვლილი სავალუტო საფასურის ყიდვა და გაყიდვა, თანახმად კანონისა, მოხდება სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ უშუალოდ ბირჟაზე ან და იმ საკრედიტო დაწესებულების მეშვეობით, რომელსაც აქვს უფლება მოახდინოს სავალუტო ოპერაცია თანახმად წესდებისა.

შენიშვნა. სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებას და ორგანიზაციას ნება აქვს იყიდოს სავალუტო საფასური მარტოდენ იმ მიზნით, რომ შეისყიდოს უცხოეთში შეძენილი საქონელი თანახმად მე-5 მუხლის 1-ლი შენიშვნისა.

8. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატს დაეკისრება მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან ერთად თვალყური ადევნოს ზედამხედველობის წესით ამა დეკრეტის სისწორითა და უდავოდ აღსრულებას და პასუხისგებაში მისცეს სასამართლოს წესით ყველა დამნაშავე მისი დარღვევისათვის, მიუხედავად იმისა, თუ რა თანამდებობა უჭირავს მას.

9. ფინანსთა სახალხო კომისარიატს უფლება ეძლევა ამა დეკრეტის განსავითარებლად გამოსცეს ხოლმე ინსტრუქციები და განკარგულებანი.

10. ამა დეკრეტით გაუქმებული ყველა დადგენილება და წესები, რაც წინა დამოკვეთულია ამავე საგანზე ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფარგლებში.

11. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის

სახალხო კომისარიათა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის

სახალხო კომისარიათა საბჭოს საქმეთა მმართველი **მ. პოლის.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო

კომისარიათა საბჭოს მდივანი **გ. სარუხანოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წლის აპრილის 29-ს თარიღის 96 №-ში.

დადგენილება ამიერკავკასიის სანტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

1923 წლის აპრილის 23.

92. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებში არსებულ სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა შორის აღძრული ქონებრივი დავის გადაწყვეტის წესის დებულების შეცვლისა და დამატების შესახებ.

1923 წლის მარტის 11 თარიღით ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებში არსებულ სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა შორის აღძრულ ქონებრივი დავის გადაწყვეტის წესის შესახებ გამოცემულ დებულების შეცვლისა და დამატებისათვის ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. გაუქმებულ იქნეს დებულების 15, 18, 19, 22, 23 და 24 მუხლში აღნიშნული ყველა დადგენილება, რომელიც შეეხება უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს, როგორც მეორე ინსტანციას.

2. მუხლი 1-ლი შეესებურა იქნეს შემდეგი შინაარსის მეორე შენიშვნით:

„დებულება ესე არ გავრცელდება სახელმწიფო დაწესებულებებზე (როგორც არის სახელმწიფო ბანკები აზერბაიჯანის საბჭოთა რესპუბლიკისა, სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკისა და რუსეთის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკისა, სახალხო ბანკი საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკისა, სახელმწიფო დაზღვევა), რამდენათაც მათ შესახებ დამტკიცებულ დებულებებში გათვალისწინებულია მათი გადაწყვეტა და წინააღმდეგ მათდამი განცხადებული ქონებრივი პრეტენზიისა და დავისა სასამართლო წესით.“

3. მუხლი მე-19 შეიცვალოს შემდეგნაირად:

„ამიერკავკასიის უმაღლესი საარბიტრაჟო კომისიის გადაწყვეტილებანი საბოლოოა და შეიძლება გაუქმებულ ან შეცვლილ იქნეს უმაღლესი ეკონომიურ საბჭოს მიერ მხოლოდ ზედამხედველობის წესით.“

4. მუხლი 21 შეიცვალოს შემდეგნაირად:

„დაწერილებითი წესს საქმეთა წარმოების შესახებ რესპუბლიკანურ საარბიტრაჟო კომისიებში და ამიერკავკასიის უმაღლეს საარბიტრაჟო კომისიაში დამტკიცებს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. სახალხო კომისართა საბჭო.“

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი

კომიტეტის მავჯდომარე **ხ. ამბარცუმიანი**,

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი

კომიტეტის მდივანი **ბ. თალიბლი**.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წლის აპრილის 29-ს თარიღის 196.№-ში.

დადგენილება ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. შინაინთა სახალხო კომისარიათისა.

1923 წლის აპრილის 21.

93. საჯარო ანგარიშგებისათვის არავალდებულ საწარმოთაგან მათი ბრუნვისა და მოგების თაობაზე განცხადების შეტანის ვადების შესახებ დამატებითი სარეწავი გადასახადებისათვის.

სახელმწიფო სარეწავი გადასახადის დებულების 15 მუხლის საფუძველზე ამიერკავკასიის შინაინთა სახალხო კომისარიატი ადგენს:

სახელმწიფო სარეწავი გადასახადის გადახდვიანების წესების 78, 88 და 97 მუხლში აღნიშნული ვადების ნაცვლად, დაწესებულ იქნეს 1923 წლისათვის შემდეგი ვადები დამატებითი სარეწავი გადასახადისა კერძო მფლობელობის საწარმოზე, რომელიც ვალდებული არ არის საჯარო ანგარიშგებისათვის.

1) განცხადებათა შეტანა სავაჭრო-სამრეწველო საწარმოსა და პირადი სარეწავი მოსაქმეობის ტრიალისა და მოგების შესახებ—მაისის 15 აზერბაიჯანისა და სომხეთისათვის და მაისის 30 საქართველოსათვის.

2) დამთავრება დამატებითი სარეწავი გადასახადის (პროცენტული გამო-საღების) განაკვეთის გამოანგარიშებისა საგადასახადო რეგისტრში—იენისის 15 აზერბაიჯანისა და სომხეთისათვის და იენისის 30 საქართველოსათვის.

3) პროცენტული გამოსაღების განაკვეთის გადახდა—იენისის 15 აზერბაიჯანისა და სომხეთისათვის და იენისის 30 საქართველოსათვის.

ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარის მაგიერ **იზმილოვი**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წლის აპრილის 29 თარიღის 96 №-ში.

დაკრძალვის აქტი აზერბაიჯანის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისარიათა საბჭოს მიერ.

1923 წლის აპრილის 28.

94. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ეკონომიური წარმომადგენლობის შესახებ მოსკოვში.

იმ დებულებათა შესაცვლელად, რაც ამ ქვეყნის არსებობს ამიერკავკასიის ცალკე რესპუბლიკათა ეკონომიური წარმომადგენლობის შესახებ რუსეთის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში (გარდა თურქესტანისა) და უკრაინაში, — ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო აღდგენს:

1. რათა ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკა ეკონომიური საკითხების სფეროში წარმოდგენილ იქნეს სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში, სახალხო კომისართა საბჭოში, შრომისა და თავდაცვის საბჭოში და სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის სხვა ცენტრალურ დაწესებულებებში და აგრეთვე იმისათვის, რათა წარმოებულ იქნეს სავაჭრო ოპერაციები, დაარსდეს მოსკოვში ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ეკონომიური წარმომადგენლობა.

2. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ეკონომიური წარმომადგენლობის (მოსკოვში) ოფიციალური მოქმედების დროიდან, რის შესახებაც გამოქვეყნებულ იქნება „სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის უწყებებში“ და „ეკონომურ ცხოვრებაში“, ყველა არსებული ეკონომიური წარმომადგენლობა აზერბაიჯანის სოც. საბჭ. რესპუბლიკისა, სომხეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკისა, შეაჩერებს თავის ფუნქციებს, არა უგვიანეს ერთი თვისა მოხდენს თავის ლიკვიდაციას და მთელი თავისი პასივით და აქტივით გადადის ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ეკონომიურ წარმომადგენლობაში.

შენიშვნა. ამა მუხლში აღნიშნული ერთი თვის განმავლობაში რესპუბლიკათა ეკონომიურ წარმომადგენლობათ არა აქვთ უფლება დასდონ ახალი გარიგება და მხოლოდ დაამთავრებენ თავიანთ ძველ ოპერაციებს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ეკონომიური წარმომადგენლობის კონტროლის ქვეშ.

3. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ეკონომიური წარმომადგენლობა არის ერთად-ერთი ორგანო, რომელსაც აქვს უფლება შეასრულოს ყოველგვარი, კანონით ნებადართული, სავაჭრო ოპერაცია და დასდოს გარიგება ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის მთავრობის სახელით. ამიერკავკასიის ყველა სხვა სახელმწიფო დაწესებულებათა და სამეურნეო შენაერთთა წარმომადგენელთ შუქლიანთ გამოვიდენ სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ბაზარზე და დასდონ სავაჭრო გარიგება მხოლოდ ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ეკონომიური წარმომადგენლობის (მოსკოვში) ნებართვით.

ყოველი გარიგება, ამა მუხლის დარღვევით დადებული, ჩაითვლება ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის მთავრობის მიერ უკანონოდ და მათ შესახებ არავითარ პასუხს არ აგებენ ამიერკავკასიის დაწესებულებანი.

4. ამიერკავკასიის ყველა სახელმწიფო დაწესებულება და სამეურნეო ორგანიზაცია თავისი საქონლის რეალიზაციას მოსკოვში ან სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის სხვა ადგილებში, აგრეთვე საქონლისა და მასალების ყიდვას გაცვლა-გამოცვლით ან ფულის ნიშნებით, აწარმოებს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ეკონომიური წარმომადგენლობის (მოსკოვში) მეშვეობით, მაგრამ მას უფლება ეძლევა ზემოხანმოთვილ ოპერაციათა შესასრულებლად წარგზავნოს თავისი რწმუნებული, რომელიც ამ შემთხვევაში მოქმედობს საესებით ეკონომიური წარმომადგენლობის განკარგულების თანახმად და მისი სრული კონტროლის ქვეშ იმყოფება.

უკეთეს ამიერკავკასიის ამა თუ იმ სახელმწიფო დაწესებულების ან სამეურნეო ორგანიზაციის რწმუნებული საქმის უკოდინარობას გამოიჩინოს ან მოქმედებაში შეიქმნეულ იქნება მავნებლობა, რესპუბლიკის ინტერესების წინააღმდეგ მიმართული, ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ეკონომიურ წარმომადგენლობას უფლება აქვს გააუქმოს და შეაჩეროს ასეთი რწმუნებულის მიერ დადებული გარიგება, გააბათილოს მისი მანდატი და წარგზავნოს უკან, და აცნობოს ამის შესახებ ტელეგრაფით დაინტერესებულ უწყებას.

5. თავისი სავაჭრო ოპერაციების განვითარებისათვის ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ეკონომიურ წარმომადგენლობას უფლება აქვს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის სამრეწველო ქალაქებსა და რაიონებში იყოლიოს რწმუნებულნი. დებულებას ეკონომიური წარმომადგენლობის რწმუნებულთა შესახებ შეიმუშავებს წარმომადგენლობა და დაამტკიცებს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიური საბჭო.

6. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ეკონომიური წარმომადგენლობის (მოსკოვში)სათავეში სდგას ეკონომიური წარმომადგენელი, რომელსაც უმაღლესი ეკონომიური საბჭოს წარდგენით დანიშნავს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო.

7. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ეკონომიური წარმომადგენლობა უშუალოდ ექვემდებარება ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს.



8. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიურია საბჭო შეიმუშავებს ეკონომიურ წარმომადგენლობის დებულებას, დაწერილები-თი ინსტრუქციას და შტატს.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **მ. პოლის.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **გ. სარუხანოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წლის მაისის 4-ს თარიღის 99 №-ში.

დადგენილება ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. საზარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატის კოლმედიისა.

1923 წლის აპრილის 24.

95. ვიზის შესახებ კოსტანტინეპოლიდან შემოტანილი საქონლისათვის.

ყოველ ტვირთს, რაც შემოტანილ იქნება ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებში კოსტანტინეპოლიდან ან კოსტანტინეპოლით, უნდა ჰქონდეს, გარდა ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სავაჭრო წარმომადგენლის ლიცენზიისა, ვიზა ამიერკავკასიის სავაჭრო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის წარმომადგენელისა კოსტანტინეპოლში. ამასთანავე ამიერკავკასიის სავაჭრო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის წარმომადგენლის (კოსტანტინეპოლში) ვიზა აუცილებლად უნდა დაედოს არა მარტო მანიფესტს, არამედ ფაქტურასაც იმ საქონლისა, რაც შემოდის ამიერკავკასიის რესპუბლიკაში; წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი ტვირთი ჩაითვლება კონტრბანდათ და მის მიმართ ხმარებულ იქნება ყველა ღონისძიება, რაც ასეთი შემთხვევისათვის დადგენილია საბაჟო წესებით.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სავაჭრო ვაჭრობის სახალხო კომისარი **ივანიანი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წ. მაისის 4-ს თარიღის 99 №-ში.

დადგენილება № 45 ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა.

1923 წლის მაისის 4.

96. საწარმოთა და მეურნეობის მფლობელთა ნათესავების შრომის შესახებ.

იმ პირთა შრომის დასაცავად, რომელნიც ნათესავნი არიან საწარმოთა და მეურნეობათა მფლობელებისა, ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისარიტი ადგენს:

1. 1922 წლის შრომის კანონთა კოდექსის მოქმედება გარკველდება: ყველა პირზე, რომელიც მუშაობს საწარმოსა, დაწესებულებასა და მეურნეობაში, თუნდაც ეს პირი ნათესავი იყოს საწარმოს ან მეურნეობის მფლობელისა, მონაწილისა ან ხელმძღვანელისა,—გარდა იმ პირთა, რომელნიც მოხსენებულ არიან ამა დადგენილების მე-2 მუხლში.

2. მუშაობა, თვინიერ შრომის ხელშეკრულების დადებისა, აქედან გამომდინარე ყველა შედეგით, ნებადართულია საწარმოს ან მეურნეობის მფლობელის შემდეგ მახლობელი ნათესავთათვის: მამა, დედა, ვაჟიშვილი, ქალიშვილი, ქმარი ცოლი, ღვიძლი ძმა და ღვიძლი და.

3. საწარმოს ან მეურნეობის მფლობელი ვალდებულია, უკეთუ მე-2 მუხლში აღნიშნული მახლობელი ნათესავები მოითხოვენ, დასდევან მათთან შრომის ხელშეკრულება; ამასთანავე, უკანასკნელ შემთხვევაში, მათზე გავრცელდება შრომის კანონთა კოდექსის მოქმედება.

4. ზედამხედველობა ამა დადგენილების დაცვისათვის დაეკისრება შრომის ინსპექციას.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
შრომის სახალხო კომისრის მოადგილე **ბახუტაძე**.
მდივანი **მარტინოვი**.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წ. მაისის 6-ს თარიღის 101 №-ში.

დადგენილება ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. ფინანსთა სახალხო კომისარიისათვის.

1923 წლის მაისის 7.

97. ვადების დაწესების შესახებ სახელმწიფო სარეწავი გადასახადისათვის.

სახელმწიფო სარეწავი გადასახადის დებულების 15 მუხლის საფუძველზე და ამა წლის აპრილის 21-ს დადგენილების დამატებისათვის ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარი ადგენს:

1. აზერბაიჯანისა და სომხეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკებისათვის სახელმწიფო სარეწავი გადასახადის წესების 78, 88 და 97 მუხლისათვის დაწესებულ იქნეს ვალდებულად 1923 წლის მაისის 30, ივნისის 30 და ივლისის 30.

2. არა ანგარიშვალდებული საწარმოსათვის 1923 წლის პირველი ნახევრის დამატებითი სარეწავი გადასახადის გამოანგარიშების დროს საფუძველად იქნეს მიღებული ტრიალიდ სანახევარწლო პერიოდისა—1922 წლის ოქტომბრიდან 1923 წლის აპრილამდე.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
ფინანსთა სახალხო კომისარი **ტუმანოვი**.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წლის მაისის 9-ს თარიღის 103 №-ში.